# საერთო გაზეთი

№23 (662)
ოთხშაბათი
6 ივლისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

# მეცამეტე პუნქტი






ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებულ 12-პუნქტიან რეკომენდაციას თითქოს მე-13 პუნქტიც ახლავს, რომელიც ქაღალდზე არ წერია, მაგრამ ის უხილავად არსებობს და ის 12 პუნქტი ამ მეცამეტე უხილავი პუნქტის განხორციელებას ემსახურება



## ელიზბარ ჯაველიძე: ქართველი ხალხი სანამ იარსებებს, ამ ქვეყანას სატანის მოციქულები ვერ დაეპატრონებიან

## გიგლა ბარამიძე: საქართველო ევროპაში „ნაცების“ გარეშე!

ისინი საუბრობდნენ ადამიანის უფლებებზე და ამ დროს, მათ კლავდნენ, აწამებდნენ, მდინარეში ახრჩობდნენ და სახურავებზე აგდებდნენ





## გელა ზედელაშვილი: დომხალ-დამხობა „ევროპიულად“ და ე.წ. ოპოზიციის მორიგი გაფარჩაკება



## საით მიაქანებენ მსოფლიოს ლიდერები სამყაროს?



## „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“

## დედამიწა – „კოსმოსური ციხე“

## მაიმუნის ყვავილი – ახალი პანდემია?



# მეცამეტე პუნქტი

## ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებულ 12-პუნქტიან რეკომენდაციას თითქოს მე-13 პუნქტიც ახლავს, რომელიც ქაღალდზე არ წერია, მაგრამ ის უხილავად არსებობს და ის 12 პუნქტი ამ მეცამეტე უხილავი პუნქტის განხორციელებას ემსახურება

**ვახტანგ ხარჩილავა**

„სირცხვილიას“ ზურგს სამარცხვინოდ ამოფარებული „ნაცმოძრაობისა“ და მისი სატელიტი პარტიების მიერ რუსთაველის პროსპექტზე სამ ნაწილად დადგმული ფარსი, სახელწოდებით „შინ, ევროპისკენ“, თავიდან ბოლომდე სიცრუესა და ტყუილზე აგებული.

ტყუილია, თითქოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატად რომ არ მიგვიღეს, ეს საქართველოს ხელისუფლების და, კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრალია, რომელიც ამ „დანაშაულის“ გამო დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს.

ტყუილია, თითქოს საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი უშლიდეს ხელს.

ტყუილია, თითქოს საქართველო ევროპას და ევროპულ არჩევანს დაკარგავს, თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები და ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალები არ მოვიდნენ, რომლებიც იმ 12-პუნქტიანი რეკომდენდაციის ყველა მუხლს შეასრულებენ, რომელთა შესრულებაც ევროკავშირმა საქართველოს სავალდებულო ნორმად დაუწესა.

ტყუილია, თითქოს საქართველომ ევროპისკენ მიმავალ გზას უგანა და სადღაც განზე გადაუხვია.

ამ და კიდევ სხვა მრავალ ტყუილზეა აგებული ის დემაგოგიური, ყალბი და ფარისევლური მოთხოვნები, რომლებსაც ამ აქციებიდან ასეთი რიხით აჟღერებენ მისი ორგანიზატორები, რომლებიც თავგამოდებული ცდილობენ, ეს ტყუილები სიმართლედ შეასაღონ ქვეყანას, სიმართლე კიდევ სულ სხვაა და სულ სხვაგან არის.

ევროკომისიის მიერ დავალებად მოცემულ ამ 12 პუნქტს, თითქოს მეცამეტე მუხლიც ახლავს, რომელიც ქაღალდზე არ წერია, მაგრამ ის უხილავად არსებობს და ის თორმეტი მუხლი სწორედ ამ უხილავი მე-13 პუნქტის განხორციელებას ემსახურება.

ეს მე-13 პუნქტი კი სხვა არაფერია, თუ არა ნებისმიერი გზით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება და ძალაუფლების იმ ძალებისთვის გადაცემა, რომლებიც უყოყმანოდ გაწირავენ საქართველოს ომისთვის.

— უკრაინას იმიტომ ვიღებთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატად, რომ იქ ომია! — პირდაპირ ითქვა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან.

ჩვენთანაც რომ ომი ყოფილიყო, ე. ი. ჩვენც მიგვიღებდნენ იმავე სტატუსით, რა სტატუსითაც უკრაინა მიიღეს?

რუსთაველზე ცუდად აჯაგრული ამ პროტესტანტების უკან ის პოლიტიკური ძალა დგას, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის სანაცვლოდ მზად არის, საქართველოს ომის ქარ-ცეცხლში უკრას თავი და ამ ძალის სახელი არის „ნაცმოძრაობა“.

სინამდვილეში, აი, ამას ხომ არ უჭერთ მხარს თქვენ, შეცომაში შეყვანილო და მოტყუებულო ქართველებო, რომ გგონიათ, ევროკავშირში შედიხართ და ამ დროს საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას უმზადებთ ჯოჯოხეთს, რომლის კარების გაღებასაც საკუთარი ხელით გაიძულებენ.

ეს არის სიმართლე, რომლის შესახებაც ერისთვის ამ კრიტიკულ ჟამს უფრო ნათლად და გახსნილად უნდა ლაპარაკობდეს ყველა, ვისაც საქართველოზე გული შესტკივა და ვინც ეს სიმართლე შესანიშნავად იცის.

როდის ალაპარაკდებიან ისინი — მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება?

საქართველოში 200-ზე მეტი პარტიაა, რომელთა უმრავლესობა თვლის, რომ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებიან.

არადა, რუსთაველის პროსპექტზე ხალხის კრიტიკულად მრავალრიცხოვანი რაოდენობა იკრიბებოდა და აშკარად ანტიკონსტიტუციური, დესტრუქციული და სახიფათო შინაარსის მოწოდებები ისმოდა, არც ერთი ამ 200 პარტიიდან არ გამოსულა და ამ ადამიანებისთვის სიმშვიდისკენ, გონიერებისკენ, დაფიქრებისკენ არ მოუწოდებია და არც იმის ახსნა და განმარტება უცდია, რა შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესებს.

არადა, ხომ ცხადია, რომ ამ ერთი შეხედვით მშვიდობიანი მოთხოვნების უკან, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების სიუჟეტი და ხელისუფლების ძალადობრივი გზით მიტაცების მცდელობა იმალება.

ამ ორასი პარტიიდან არც ერთს არ შეუხედავს ამ ფაქტისთვის ამ კუთხიდან — თითქოს საქმე ქვეყნის საერთო ბედს და საერთო განსაცდელს არ ეხებოდა.

ამ ორასი პარტიიდან, არც ერთს არ გამოუცხადებია სოლიდარობა „ქართული ოცნებისთვის“, რომლის „დანაშაული“ ისაა, რომ პრინციპულად დაიცვა საქართველოს სახელმწიფო ინტერესები და უკიდურესად დაძაბულ ჟამს, მიუხედავად არნახული ზეწოლისა, შეძლო ქვეყნისთვის მშვიდობის შენარჩუნება, რის გამოც ისჯება ახლა კოლექტიური მაქარაშვილებისა და დიღმელაშვილების ხელით, თუმცა მიზეზად სულ სხვა მოტივები სახელდება.

მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს კი არა, ზოგადად, ჩვენს საზოგადოებას ჩვევია ეს — განზე გადგება და შორიდან უყურებს მის გარშემო დატრიალებულ მღვრიე მორევს და მხოლოდ მაშინ იწყებს გამოფხიზლებას, როცა მორევი დასახრჩობად წაეტანება.

ძალიან დიდ, მე ვიტყოდი, საბედისწერო შეცდომას უშვებს ყველა, ვინც ფიქრობს, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თუ გადადგება, ან „ქართული ოცნება“ წავა ხელისუფლებიდან, ამით ქვეყანა არ დაიქცევა.

დაიქცევა, ძვირფასო მეგობრებო, ნამდვილად დაიქცევა, რადგან ისეთი ძალა მოვა ხელისუფლებში, რომელიც თვალის დაუხამხამებლად გაგწირავთ თქვენც და მთელ საქართველოსაც და ისეთ უბედურებაში გაგვხვევს, რომელიც კატასტროფით დამთავრდება ქართული სახელმწიფოსთვის.

ის, რაც ბოლო ორი კვირაა ხდება საქართველოში, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ კი არ ხდება მხოლოდ, ის მთელ ქვეყანას, თითოეულ ჩვენგანს უმზადებს დიდ განსაცდელს და თუ ეს დღესვე, ახლავე არ გავაცნობიერეთ და ხელისუფლების კი არა, საკუთარი თავის და საკუთარი სამშობლოს დასაცავად არ გავერთიანდით, მწარედ დაგვამარცხებენ შინაური და გარეული მტრები.

არსებობს რაღაც მომენტები, როცა სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, ხალხის რაღაც ნაწილი,



ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ საკმაოდ მრავალრიცხოვანი, განსჯის უნარს კარგავს და მტყუანს მართლისგან ვერ არჩევს, შავს თეთრისგან და გონებაშეზღუდულთა აგრესიულ მასად იქცევა.

შეიძლება ნორმალურ, გონიერ, მოაზროვნე ადამიანად ჩაითვალოს ადამიანი, ტომით ქართველი, საქართველოში მცხოვრები მისი მოქალაქე, რომელიც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნას მხარს დაუჭერს?

როგორ ვერ უნდა მიხვდეს ქართველი კაცი, რომ ვინც ამას სთავაზობს, როგორც მისი მომავალი ბედნიერებისა და კეთილდღეობის აუცილებელ პირობას, ის პირადად მისი და მისი ქვეყნის ნამდვილი მტერია — ავაზაკი, ქვებუდანი, მზაკვარი.

ან ევროკავშირი ან ბიძინა ივანიშვილი! რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ქართველებს, რომლებმაც ეს სატანისტური ვერაგობით შემოგდებული „იდეა“ – ან ევროკავშირი, ან ბიძინა ივანიშვილი! – ლოზუნგად აიტაცეს და წინ წაიმძღვარეს?

რა შეიძლება ვუწოდოთ და საქართველოს მტრების მოკავშირეები, თავადაც საქართველოს მტრები, რომელთაგან ზოგს შეიძლება გაცნობიერებულიც არ ჰქონდეს, რას ჩადის, რა მიზნებს ემსახურება.

თუ ვინმეს უშლის ხელს ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა, ეს „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელმაც იცის, რომ მისი ხელისუფლებაში დაბრუნება არჩევნების გზით გამორიცხულია, თუ „ქართული ოცნება“ არ დაამხო და ივანიშვილი არ აიძულა, ქვეყნიდან წავიდეს.

რომელი ქვეყნიდან უნდა წავიდეს ბიძინა ივანიშვილი, მისი აშენებული ქვეყნიდან, რომ აქ მეორე ფრონტი გაიხსნას და ყველაფერი დაინგრეს და გაცამტვერდეს?

●

— ჩიტო-ჩიტო, ჩიორაო — რაო, ბატონო მელაო? — ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებო... — ამ ჩიტ-ჩიორას მაგონებს დღეს საქართველოო, — თქვა ამასწინათ ერთმა რესპონდენტმა ერთ-ერთ ტელევიზიაში.

ზუსტი შედარებაა — საქართველო მართლაც ჰგავს იმ ჩიტ-ჩიორას, რომელსაც გამუდმებით სთხოვენ „ბარტყების“ გადმოგდებას.

ამჯერად ეს მუქარა კოლექტიური მაქარაშვილებისა და დიღმელაშვილების გაერთიანებული „ლაშქრის“ სახით არის წარმოდგენილი.

ახალ სახალხო მოძრაობად მონათლული ამ პროვოკაციის ორგანიზატორები ქართველო ხალხის სახელით სპეკულირებენ და ამ აშკარად საერთო-სახალხო დაკვეთად ასაღებენ, რაც სრული სიცრუე და ფარისევლობაა, რადგან ქართველი ხალხი კატეგორიულად ემიჯნება იმ ბოდვით იდეებს, რაც ამ აქციებზე გაჟღერდა.

სწორედ უმრავლესობაში მყოფი ქართველი ხალხის ხმას უნდა მიუგდონ ყური ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა, სწორედ ეს ქართველი ხალხი დაინახონ, პატივი სცენ მის ნებას და არა კოლექტიური მაქარაშვილები და დიღმელაშვილები გამოაცხადონ ქართველ ხალხად.

●

ორიოდე დღის წინათ ჩვენმა მკითხველმა, ერთმა უბრალო პატიოსანმა ქართველმა, დამირეკა და ასეთი რამ მითხრა:

— ბიძინა ივანიშვილი მთელი თავისი ცხოვრებით ქართველი ხალხის გვერდით იდგა. მთავრობაც, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თავკაცობით, ქართველი ხალხის გვერდით დგას. ახლა ჩვენი, ანუ ქართველო ხალხის ჯერია...

ცამდე მართალია ეს ჩვენი მკითხველი — ახლა მართლაც ქართველი ხალხის ჯერია.



# ქართველი ხალხი სანამ იარსებებს, ამ ქვეყანას სატანის მოციქულები ვერ დაეპატრონებიან

*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ევროკავშირში შესვლის მოთხოვნით საზოგადოების ერთი ნაწილი აქციას — შინ ევროპისკენ, მართავს. რეალურად, ვის ხელეწიფება ქვეყნის გადარჩენა?**

— ეს გახლავთ მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი. სამწუხაროდ, საქართველო, ქართველი ხალხი ორად არის გაყოფილი — ერთნი არიან მერცხლები, პატრიოტები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით ჭიკჭიკებენ, ხოლო მეორენი — ღამურები, რომლებიც თავს დაგვჩხავიან და ქვეყანას გამოკვეთილად მტრობენ. მადლობა ღმერთს, უმრავლესობაშია ქართველი ხალხი, რომელსაც სამშობლო უყვარს, ნათელი გონება აქვს. მეორენი კი, მხოლოდ საკუთარ თავზე, ქონებაზე არიან შეყვარებულნი. ესენი არიან სატანის შვილები, რომელთა გაქრისტიანება, ადამიანად მოქცევა შეუძლებელია. ამიტომ, მათთან საუბარიც გამორიცხულია. ევროპა გვეუბნება: პოლარიზაცია დაამარცხეთო. როგორ? — ნაცებთან ეს ყოველივე განა შესაძლებელია?! — ყველაფერში ჩანს, რომ მათ საქართველოს დაქცევა, დანგრევა, განადგურება სურთ, რადგან ჰგონიათ, ამის მერე ხელისუფლებაში მოვლენ. მათ არც ევროპა აინტერესებთ და არაფერი, არამედ ის სიბნელე რაც სულში, გულში ჩაბუდებული აქვთ. მათში არცერთი ნათელი სხივი არ კრთის. ასე, რომ რა თქმა უნდა, ჯერი ქართველ ხალხზეა, რომელსაც სამშობლო თავდადებით უყვარს და მზად არის საკუთარი სიცოცხლე შესწიროს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ დღეს, სამყარო კოსმიურად იცვლება. ბნელეთის მოციქულებმა თავიანთი ბილწი ქმედებებითა და საუბრით მთელი სამყარო წაბილწეს. ეს შემთხვევით არ ხდება. ყოველივე მაშინ დაიწყო, როცა სამყაროში გლობალიზაციის პრობლემა აგორდა, რაც რამდენიმე ეტაპს მოიცავდა, რათა მთელი მსოფლიო გაერთიანებულიყო. სამყაროს სათავეში მხოლოდ ერთი იმპერატორი უნდა ჩასდგომოდა. ერთ-ერთ ჩემს წიგნში კიდეცავ აღვწერე, როგორ ხდებოდა ადამიანის მოდგმის გადაგვარება.

**— ბატონო ელიზბარ, ევროკავშირში მისაღებად 12 პუნქტიანი საშინაო დავალება მოგვცეს. ანუ, ჯერ მზად არ ვართ ევროპულ ოჯახში შესასვლელად?**

— ქართველი ხალხი შინაგანი მრწამსით, ზნეობით, კულტურით, ტრადიციით, ფასეულობებით, დღევანდელ ევროპაზე, გაცილებით მაღლა დგას. მე, ასე ვიკითხავ: ევროპა თუ არის ღირსი, რომ საქართველო მასთან გაერთიანდეს?! ამის შესახებ დუმილი, ქართველ კაცს, არ ეგების. დღევანდელი ევროპა არ გახლავთ ის ადგილი, სადაც ჩვენ სულიერ თავშესაფარს ვეძებდით. ეს ევროპა, დიდი ხანია, თავად ამ გლობალიზაციის პროცესმა მოკლა. საერთოდ, დღევანდელი ევროპა უფრო მეტად უზნეობის მომცველია, ვიდრე ზნეობის.

**— 308 ევროდეპუტატმა კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე უარი გვითხრა.**

— სწორედ, ზნეობისგან დაცლილმა ხალხმა გააკეთა ყოველივე. ე.წ. ევროპის სახალხო პარტიამ შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური რეზოლუცია შეადგინა და ევროკომისიას წარუდგინა. ვინ არიან ეს ევროდეპუტატები? — მიშისტები ანუ, სააკაშვილის მოპარული ფულებით დაოკებული ე.წ. ევროპელები. მათ ევროპასთან არავითარი საერთო არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ღირს, საერთოდ, ასეთ ევროპაში შესვლა?! ასე რატომ ვიკლავთ თავს? გამოვიდნენ აქციაზე და შინ ევროპაშიო გაჰყვირიან. მოდით, ჯერ გავაცნობიეროთ რომელ ევროპაში ვაპირებთ წასვლას. დანტეს, გოეთეს, თომას მანის ევროპა, რაზეც ვიზრდებოდით, აღარ არსებობს. მაშ, რა არსებობს? — ე.წ. სათავისო პოლიტიკა. ანუ, ჩვენ გადავრჩეთ, ვიყოთ კარგად, დანარჩენები სულ არ გვაინტერესებსო. აქვე, ერთსაც აღვნიშნავ: ვამბობთ, რომ უკრაინელები ჩვენი მეგობრები არიან. კი ბატონო, დღეს ქუჩაში უფრო მეტი უკრაინელი შეგხვდებათ, ვიდრე ქართველი. ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ უკრაინის თავკაცები გვსაყვედურობენ: ომს რატომ არ იწყებთო. უკრაინელი ბავშვები რომ იხოცებიან, ქართველები არ უნდა დაიხოცონო?! ხაზგასმით ვამბობ: ის სწორი პოლიტიკა, რასაც დღეს პრემიერი ღარიბაშვილი, კობახიძე და ზოგადად, ეს გუნდი წარმართავს, ქართველი ერის, სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთი გზა გახლავთ. აქ რომ ომი დაწყებულიყო, საქართველო აღარ იარსებებდა. ამ იდიოტ ნაცებს ეს არ ანაღვლებთ იმიტომ, რომ საზღვარგარეთ სახლ-კარი აქვთ, ოჯახი გახიზნული ჰყავთ. ჩვენ, რა ვქნათ?! რუსეთთან ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ვიბრძოლეთ. ვინმე, ერთი დოლარით მაინც დაგვეხმარა?! რუსეთ-უკრაინის ომში მილიარდები ჩაყარეს იმიტომ, რომ იმპერიის სათავეში მდგომ ამერიკას აწყობს როგორც რუსეთის დასუსტება, მოსპობა, ისე უკრაინის განადგურება. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ამ პოლიტიკას ბავშვები ეწირებიან. ზელენსკიმ გამოაცხადა: 17 ათასი ბავშვი უპატრონოდ დარჩა და ვისაც გინდათ იშვილეთო. ეს ხომ ტრაგედიაა.



**— ბატონო ელიზბარ, ევროპა მის ოჯახში მიღების სანაცვლოდ, დეოლიგარქიზაციას გვთავაზობს. რას ფიქრობთ ყოველივეზე?**

— კი ბატონო, ბიძინა ივანიშვილი მიზანში ჰყავთ ამოღებული. იცით, ეს რატომ ხდება? — იმიტომ, რომ მისი წყალობით მოვიშორეთ სააკაშვილი, რომელიც 30 წელი აპირებდა მმართველობაში ყოფნას და ქვეყნის მოსპობას. ნაცებმა ქვეყანაში ისეთი ვითარება შექმნეს, ადამიანი გარეთ ველარ გამოდიოდა, რადგან შეიძლება დაეჭირათ, ნარკოტიკი ჩაედოთ და მერე, ციხეში წამებით სული ამოეხადათ. ქართველმა ხალხმა ხომ ვიცით რაც ხდებოდა. თუ ახალგაზრდებმა არ იციან, აჩვენეთ ნაცების სისასტიკის ამსახველი კადრები. მაგალითად, მაგიდაზე მიბმულ კაცს როგორ აუპატიურებს ვიაგრადალეული კოჭლი კაცი ცოლ-შვილის თვალწინ. რატომ არ აჩვენებენ ამას იმ ახალგაზრდებს, რომლებიც აქციაზე გამოდიან და გაჰყვირიან: ევროპა გვინდაო. ისინიც, ალბათ, ამ სატანების შვილები არიან. აი, საიდან გაჩნდა დეოლიგარქიზაციის მოთხოვნა, რასაც აქციაზეც გაჰყვირიან. მას მერე, რაც ივანიშვილმა მიშა მოგვაშორა, მას ამ ნაძირლებთან კოაბიტაცია აიძულეს. მანამდე, ისინი სოროსის სოროდან ვერ ძვრებოდნენ. კოაბიტაცია ნიშნავდა, რომ დამარცხებული ნაცები უნდა გვეღიარებინა, რასაც მოჰყვა სწორედ პოლარიზაცია. დღეს ხალხი ვინც სააკაშვილის გვერდით ციხეში უნდა იჯდეს, პოლიტიკოსობას იბრალებს და ჩვენი დაჭერა არ შეიძლებაო, გვეუბნება. დიახ, სწორედ ამიტომ, ყველა ცდილობს ითაღლითოს და პოლიტიკური პარტია შექმნას, რათა თავი დაიძვრინოს, როგორც ეს მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ გააკეთეს. ახლა, პატრიოტებად მოაქვთ თავი. თურმე, ქართველ ხალხზე ზრუნავენ, ამ დროს, ნახევარი საქართველო უსახლკაროდ დატოვეს და ასე გამდიდრდნენ. მათ უფლება არ აქვთ ქართულ მიწაზე ფეხი დააბიჯონ. უფრო შორს თუ წავალთ, სახეზეა გლობალიზაციის პოლიტიკაა, როდესაც ერი უნდა გადაგვარდეს, მოისპოს. ტელევიზიებიც ამ საქმეს ემსახურებიან. ფსიქოლოგები ამბობენ: ქვეყანას ის მართავს, ვინც აზროვნებას მართავსო. აზროვნება ყალიბდება დღევანდელი ტელეეკრანებიდან. ჩემი აზრით, ეს ტელევიზიები დასახურია, ხოლო იქ, ვინც მოღვაწეობს, ყველა დასაჭერია. უწიგნურები, წერა-კითხვის უცოდინრები არიან, მხოლოდ ენას გადმოაგდებენ და რას ბოდავენ თავადაც არ იციან. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს კანონი — ცილისწამება და ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება დასჯადია. რატომ არ სჯიან ამ ხალხს?! ეს შემთხვევით არ ხდება. შეხედეთ, რა დღეშია ლევან ბერძენიშვილი. როცა იგი დააპატიმრეს, საკუთარი სურვილით ქაღალდი და კალამი მოითხოვა, რათა ცოდვები მოენანიებინა და საბჭოთა სუკი მათდამი ერთგულებაში დაერწმუნებინა. დაიწყო წერა. რას წერ ამდენს, გეყოფაო, ეუბნებოდნენ, მაგრამ არ ჩერდებოდა. შედეგად, დააპატიმრეს მისი ძმა და საცოლე. ასევე, უერთგულესი თანამშრომელი გაწირა და როგორც დამნაშავე სუკის ერთ-ერთ გამომძიებელს ჩააბარა. სურვილი გამოთქვა აგენტი გამხდარიყო და სამაგიეროდ ყველა ჩაუშვა ვისაც კი თუნდაც, უბრალოდ, მის ახლოს ჩაუვლია. 30-მდე კაცი დააპატიმრებინა: ვახტანგ ძაბირიძე, ვახტანგ შონია, ზურაბ სიხარულიძე, გოდერძი ტოტიჩავა, ნაირა ბლიაძე, მერაბ თავხელიძე და ა.შ. შედეგად, გახდა აგენტი და საიდუმლო სახელიც დაერქვა — დელფინა. ორივე ძმა, ცალ-ცალკე, სასიკვდილოდ განწირულ ადამიანებთან შეუშვეს, რომლებიც უნდა დაეხვრიტათ. ძმებმა დავალება პირნათლად შეასრულეს. ინაურმა მოსკოვში კაგებეს უფროსს ფილიპ ბაბკოვს მისწერა. დაიდგა სცენარი. ძმები გაასამართლეს, ერთად გაუშვეს კოლონიაში, რაც კანონით აკრძალული იყო და მალევე გამოუშვეს. ასე გახდნენ სუკის აგენტები — რასაც ავალებდნენ, ასრულებდნენ. ცეკას მდივანმა გურამ ენუქიძემ მთხოვა: იქნებ, ბერძენიშვილს სამუშაო მოუძებნო, მოსკოვიდან, კაგებედან მაქვს დავალებაო. დღეს, გამოდის ბერძენიშვილი და ხალხის გადაგვარებას ცდილობს. გამოდის ეს ნაძირალა და მეფე ერეკლეს აგინებს, აღმაშენებელზე ამბობს: ავადმყოფი შვილები ჰყავდაო. ეს ხომ შემთხვევით არ ხდება?! ისინი იმ სიმბოლოებს ებრძვიან, რაც ჩვენი ცნობიერების საყრდენია. ამას შეგნებულად აკეთებენ. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ფრანგი ფილოსოფოსები ამბობდნენ: ლიბერალებზე ნაძირალა ხალხი არ არსებობს იმიტომ, რომ ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენო. პოსტ-ლიბერალიზმი მოიწევს. ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. ევროპარლამენტის დონეზე წყდებოდა საკითხი — მაიმუნი უფრო ბედნიერია თუ ადამიანი. ადამიანი რამდენიმე საფეხურით წინაა, მაგრამ მაიმუნი უფრო ბედნიერია, რადგან შეუძლია დედასთან, შვილთან დაამყაროს სექსუალური კონტაქტი. აი, ეს თავისუფლება ჰგონიათ ლიბერალებს ბედნიერება. ეს ცხოველური ბედნიერებაა. ადამიანს აქვს ზნეობრივი კანონი, რასაც ესენი არღვევენ. ინგლისში რომელიც კონსერვატორული აზროვნები-



4 გვ. →

# ქართველი ხალხი სანამ იარსებებს, ამ ქვეყანას სატანის მოციქულები ვერ დაეპატრონებიან

← 3 გვ.

საა, 44 წლის ქალი ცოლად 24 წლის ბიჭს გაჰყვა. ავსტრიაში ვიყავი როცა ერთი გოგო ჰყვებოდა მამამისმა როგორ გამოკეტა და სამი შვილი გაუჩინა, მერე, სარდაფიდან გაიქცა, ძმასთან მივიდა, მიშველეო და მანაც გააუპატიურა. გეკითხებით: ეს არის თავისუფლება?! ვიმეორებ: ეს ცხოველური თავისუფლებაა, რასაც სალომე სამადოვი ქადაგებს. მეგობარმა მითხრა: დაანებე ამ ქალს თავი, იგი ისეთი ბოროტია, თავის ნერწყვს რომ გადაყლაპავს, დაიხრჩობაო. ავიღოთ, დეკანოიძე, რომელიც უკრაინის პოლიციის უფროსი იყო, მერე, ცხრა ღობეზე გადახტა და ახლა, მორალზე, ზნეობაზე გველაპარაკება. საქართველოს სირცხვილი იცით რა არის? — ორგანიზაცია „სირცხვილია“ რომ არსებობს და ჩვენ გვიქნევს თითს. ქართველი ხალხის სირცხვილია ის, რომ „სირცხვილიას“ ლიდერები დიღმელოვი, მაქარაშვილი ხელისუფლებას ეუბნებიან: ერთ კვირაში თუ არ გადადგები, ამას და იმას ვიზამთო. ვინ გდიან, ეს უბედურები? საიდან მოვიდნენ ეს ჭიაღუები? მთელი უბედურება ისაა, რომ ამათ უსმენს ზოგიერთი გადაქართველებული. ასეთი სურათია. დავუბრუნდეთ, კანდიდატობის მონიჭების თემას. უნდა მოვიკლათ თუ არა თავი იმის გამო, რომ კანდიდატობა არ მოგვცეს?! ეს ხომ შეგნებულად მოხდა. გამობრძანდა საფრანგეთის პრეზიდენტი და განაცხადა: საქართველო გეოგრაფიულად სხვა ტერიტორიაზეაო. ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ ჩვენ, მართლა არ ვართ ევროპის მომიჯნავე, არამედ იმიტომ, რომ ამ სივრცის პატრონობაზე პრეტენზია რუსეთმა გამოაცხადა. საქართველო, ქართველი ხალხი დაიხოცება თუ არა, ფეხზე ჰკიდიათ. ომში ჩართვისკენაც ამიტომ გვიკიჟინებენ, რომ ქართული სახელმწიფო მოისპოს. უკრაინაში 44 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ჩვენ 3,5 მილიონიც აღარ დავრჩით. ერთი რაკეტა გვინდა და საქმე დამთავრებულია. ტერიტორია ხომ დარჩებათ. ახლა, 12 პუნქტიანი დავალება მოგვცეს შესასრულებლად. ერთ-ერთი პოლარიზაციაა, რაზეც ვისაუბრეთ. მათ იციან, რომ ნაცები ამაზე არ წამოვლენ. ვინც ამ პოლიტიკას წარმართავს, იცოდეს, რომ ქართველი ხალხი არ მოითმენს და ამ ნაძირლებს ისე გადათელავენ, მიწასთან გაასწორებენ. საქართველო გაცილებით წინ არის, ვიდრე უკრაინა და მოლდოვა, რომელიც დე-სე-თეს წევრია. ქართველებს გვავიწყდება, რომ როდესაც ჩვენ, ტაძრებს ვაგებდით და „შუშანიკის წამება“ გვქონდა, ევროპელები მაშინ გამოდიოდნენ ტყიდან და სახელმწიფოს ჩამოყალიბებას იწყებდნენ. მაშინ, უკვე უდიდესი კულტურა გვქონდა. ახლა, ბავშვები ლომაიას დაფუძნებული პროგრამით გარყვნეს. ეს ბოროტებაა. უნდათ ბავშვებს სამშობლო დაავიწყონ. რატომ ამოიღეს რაფიელ ერისთავის ლექსი პროგრამიდან? — იქ სამშობლოს სიყვარული ჩანს, რასაც ესენი სპობენ.

**— როგორ ფიქრობთ, ექვს თვეში მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს?**

— ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა, ეს იგივეა გალიაში მაიმუნს კანფეტი რომ დააწყოთ და ა.შ., რასაც არცერთი ქართველი კაცი არ შეურიგდება და ამ უმსგავსობას თავის ცხოვრების წესად არ გაიხდის. ლგბტ წარმომადგენლები ჯერ გვეუბნებოდნენ: ჩვენც ადამიანები ვართო, მერე, გვითხრეს, ჩვენც თქვენი დარი ვართო და ბოლოს: თქვენ, მიბრძანდით, ჩვენ, უნდა ვმართოთ ქვეყანაო. აი, ამ ძალას, „სირცხვილიას“ და მსგავსთ უნდათ გაბატონდნენ. სანამ ქართველი ხალხი იარსებებს, ვერ მოვლენ. ამ სატანისტებს ღმერთი დასჯის. ევროპისაკენ მიდრეკილ ქართველებს ნუ დაავიწყდებათ: საქართველო თავისი კულტურით, ზნეობით, დემოკრატიით ბევრად მაღლა დგას ევროპაზე. გაჰყვირიან: დემოკრატია გვინდაო. მთელ მსოფლიოში, აბსოლუტური, დემოკრატია არსად არის! აი, დემოკრატია თუ არის, ეს, პირველ რიგში, საქართველოშია — ვისაც რა უნდა იმას ლაპარაკობს. აქ, ზედმეტი დემოკრატიაა. მეტი რა გინდათ, გამოდიან და საჯაროდ მოუწოდებენ: დავამხოთ, გადავაყენოთ, დავიჭიროთო. კანონი და სახელმწიფო არ არსებობს?! შევარდნაძის დროს, არჩევნების მერე, ჟურნალისტებს ვუთხარი: გაგვაცურეს და პარლამენტის გარეთ დაგვტოვეს. მაგრად თუ დავდგებით, ამ ხელისუფლებას, კონსტიტუციის გზით, აქედან მივაბრძანებთ-მეთქი. შევარდნაძემ თქვა: ადამიანები ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებენ ხალხსო, დილით თავზე დამადგნენ და დამიჭირეს. სამადოვები რომ გაჰკივიან: ხელისუფლება დავამხოთო, მათ რატომ არ იჭერენ, მერე პოლარიზაცია რომ არ დაბრალდეთ?! პოლარიზაციის დასაგმობად გამოუშვა შარლ მიშელმა ციხიდან მელია?! ის ხომ დამნაშავე იყო. უგულავა ციხიდან მეორედ გაათავისუფლეს და ჩვენ, გვეუბნება: ქვეყანას ძარცვავთო. არადა, თავად 50 მილიონზე მეტი შეჭამა! კანონი უნდა აღსრულდეს. ევროპის სახალხო პარტიიდან ვიღაც ოთხი ევროპელი შეიკრიბა და რეზოლუციაში ჩაწერეს: სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთო. ესეც დანაშაულია. მაშინ მთელი ციხე სამკურნალოდ უნდა გადავიყვანოთ. სააკაშვილი ვინ აგდია — ქვეყნის დამღუპველი, პირველი მძარცველია. ჩვენ, გვასწავლიან დემოკრატიას?! ვიმეორებ: ასეთი დემოკრატია არსად არსებობს. გავიხსენოთ, რა მოხდა ამერიკაში? — ტრამპს, საერთოდ, სიტყვით გამოსვლა აუკრძალეს, 5 კაცი მოკლეს, როცა კონგრესს შეუტიეს და ა.შ. გულზე ვარ გასიებული. ვერცერთი ნორმალური ქართველი მათი შემხედვარე ვერ მოისვენებს. ვიმეორებ: ვიდრე ნაცები პოლიტიკოსებად იწოდებიან, საქართველოს სიმშვიდე არ ეღირსება. პარლამენტმა დაადგინა, რომ ნაცებს პოლიტიკურ სივრცეში ყოფნის უფლება არ აქვთ, მაგრამ ეს დადგენილება არ სრულდება. ბოლოს, მინდა ღარიბაშვილს, კობახიძეს მივმართო: დროზე გამოუტანეთ ნაცებს განაჩენი, თორემ, მერე გვიან იქნება, ქართველი ხალხი აღარ მოითმენს, გარეთ გამოვა და ამათ გადაუვლის.







**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## გაიღვიძე, ქართველო!



**მაცხოვარს და ღვთისმშობელს,**
**ისევ ტყვიებს ესვრიან.**
**— გაიღვიძე, ქართველო,**
**მტერი შემოგვესია.**

**ხენეში ხის ნაყოფი,**
**შხამის... გამოსხმულია.**
**— გაიღვიძე, ქართველო,**
**მტერი გადმოსხმულია.**

**ბარაბას გზით ნუ დახვალ,**
**უფალს ნუ აიმხედრებ,**
**ჯოჯოხეთი ნუ გინდა,**
**საქართველოს მიხედე!.**

**ირაკლი ვაშაყმაძე**
25 ივნისი, 2022 წელი

# საქართველო ევროპაში „ნაცების“ გარეშე!

*გვესაუბრება პოლიტიკოსი, დიპლომატი, აღმოსავლეთმცოდნე ᲒᲘᲒᲚᲐ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ:*

**— ბატონო გიგლა, ევროპამ საშემოდგომო გამოგვაყოლა — თუ 12 პუნქტიან საშინაო დავალებას შევასრულებთ, ექვს თვეში კანდიდატის სტატუსს გვპირდებიან. რას ფიქრობთ, ამ ყველაფერზე?**

— პირველ რიგში, თითოეულმა ქართველმა კარგად უნდა გავითავისოთ შემდეგი: ხომ გახსოვთ, იგავი თაგუნაზე, რომელსაც ფრენა სურდა. საბოლოოდ, იგი დაისაჯა — აღარც თაგვი იყო და აღარც ჩიტი. ქართველები ღამურის პოზიციიდან უნდა გამოვიდეთ, რაშიც 35 წელია ვიმყოფებით. ვიცოდეთ ჩვენი ადგილი — რომელ ცივილიზაციას წარმოვადგენთ, რანი ვართ და ა.შ. ავად თუ კარგად დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ამიტომ სახვეწარი არავისთან არაფერი გვაქვს. ჩვენ, ზოგადსაკაცობრიო, დასავლური ცივილიზაციის დამფუძნებლები ვართ. ქართულ-იბერიულ-კავკასიური ცივილიზაცია, ევროპული ცივილიზაციის დამფუძნებელია. ჩვენ, ამ ცივილიზაციას ჯერ კიდევ პეტრე იბერიდან მოყოლებული ვქმნიდით. მაშინ, ზოგი ევროპული ქვეყანა, როგორც სახელმწიფო, ჩამოყალიბებულიც კი არ იყო. ასე, რომ ევროკავშირში მათ კი არ უნდა მიგვიღონ, არამედ იქ, თავად ვბრუნდებით. ჩვენი ადგილი სწორედ ევროპაშია. მართალია, რამდენიმე საუკუნოვანი წყვეტა მოხდა, ოღონდ, არა ცნობიერი ან ცივილიზაციური, არამედ ორგანიზაციულ-სტრუქტურული. მაშინ, როცა ჩვენ მტრებს, დამპყრობლებს, ველურებს ვაკავებდით და დასავლეთისკენ არ ვუშვებდით, ამ დროს ეს უკანასკნელი, როგორც მეტროპოლია, კოლონიებთან ურთიერთობაში მდიდრდებოდა. დიახ, დროა ევროპაში ღირსებით, წარმატებით, საკუთარი თავის დაფასებით დავბრუნდეთ. მეტიც, დღეს, დასავლეთს, იგივე, ევროატლანტიკურ სივრცეს, შეიძლება უფრო მეტადაც სჭირდება ჩვენი ქვეყანა, ტერიტორია, ვიდრე საქართველოს ევროკავშირში ყოფნა. ესეც უნდა გავითვალისწინოთ. იმიტომ, რომ თუ მათ საქართველოსთან კონტაქტი და კარგი ურთიერთობა არ ექნებათ, ჩათვალონ, რომ ამიერკავკასია დაკარგული აქვთ. ამიტომ, მონური, თავდადრეკილი ურთიერთობა უნდა დავივიწყოთ. ჩემი პატივისცემა დასავლელ კოლეგებს, მაგრამ მათი ნაწილი ირიბად, ნაცბანდის რეჟიმის თანამონაწილენი არიან და ჩადენილ სისხლიან ქმედებებს ამართლებენ. ვგულისხმობ, ევროპის სახალხო პარტიის ნაცლობისტებს. რაც შეეხება, ზოგადად, დასავლელ პარტნიორებს, მათ ჩვენც ღირსეულად უნდა დავხვდეთ და ყველაფერზე თავი არ უნდა ვუქნიოთ, რასაც უკვე 30 წელია ვაკეთებთ. ისე გამოდის, თითქოს, ქართველები რომელიღაც ტრამალებიდა ვართ მოსული, მათ კი უნდა გაგვწვრთნან, დავალებები მოგვცენ, თაფლაკვერი დაგვანახონ. ზოგიერთმა ელჩმა, ლამის, ისე გაგვწვრთნას წკეპლაც მოგვცხოს, ჩვენ კი მდუმარედ უნდა ვიდგეთ! ეს უნდა დავივიწყოთ და დასავლელ პარტნიორებს ჩვენი ფასი ვაჩვენოთ. გავაცნობიეროთ, რომ ერთმანეთი ორივეს გვჭირდება. ვიმეორებ, სახვეწარი არაფერი გვაქვს, პირიქით, მათ ვჭირდებით და დავბრუნდებით კიდეც იქ, ოღონდ, ჩვენი კულტურით, ცივილიზაციით. ჩვენ იქ, საკუთარი შესატანით შევდივართ, მორჩა და გათავდა. რაც შეეხება ევროკომისიის გადაწყვეტილებას, ეს აბსურდის თეატრია. დავიწყოთ იმით, რომ რუსეთ-უკრაინის ომი რომ არა, კანდიდატის საკითხი დღის წესრიგში არ დადგებოდა. უკრაინამ, პრაქტიკულად, წლების მანძილზე უამრავი ტაქტიკური, სტრატეგიულ-პოლიტიკური სახელმწიფოებრივი შეცდომა დაუშვა. მათ, 2008 წლის აგვისტოს ომიდან ვერაფერი ისწავლეს, პირიქით, უფრო კატასტროფული შეცდომები დაუშვეს. კი ბატონო, მას ეხმარებიან — იარაღსაც აძლევენ, მოხალისეებსაც უგზავნიან, მილიარდებსაც აყრიან, მაგრამ ჯერჯერობით, საზეზეა უკრაინის სახელმწიფოს, ეტაპობრივად, განადგურება. კი, რუსეთი შეიჭრა, აგრესორია, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ — უკრაინას არც ნატოს წევრობა უბოძეს, არც ევროკავშირში გააწევრიანეს. რაც მთავარია, ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები ნაცვლად იმისა, რომ მოლაპარაკებებზე საუბრობდნენ, ამბობენ: გამარჯვებული ბრძოლის ველზე უნდა გამოცხადდესო. ანუ, რა გამოდის — უკრაინა, შენ, იომე, გაწყდი, მეომრები დაგელუპოს, ტერტორიები დაკარგე, სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, მე, გვერდიდან გიყურებ, დაგეხმარები, ნატოში და ევროკავშირში ვერ შეგიშვებ, სამაგიეროდ, შენს ნაცვლად, შვედეთს და ფინეთს მივიღებთო. როგორი უცნაური ლოგიკაა, არა. რაღაც ხომ უნდა მიეცათ და უცებ, გაახსენდათ კანდიდატის სტატუსი, რომელიც რეალურად, არაფერს ნიშნავს, უბრალოდ, სიმბოლური ეტაპია. აი, საიდან წამოიჭრა კანდიდატობის მინიჭების თემა. ჯერ ერთი, ვის გაუგია, ომში მყოფ ქვეყანას ევროკავშირმა კანდიდატობა მიანიჭოს. დასავლეთი უკრაინასთან ვალშია. თან, არ უნდა უკრაინამ ომი შეწყვიტოს იმიტომ, რომ იგი დასავლეთის, მთელი ანგლო-საქსური, ევროატლანტიკური სამყაროს ნომერ პირველი მტრის რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოყენებული პლაცდარმია. ამდენი სისხლი იღვრება და გადაწყვიტეს: მოდი, კანდიდატობა მაინც მივანიჭოთო. აქვე, ამოტივტივდა მოლდოვა და საქართველო. დავალებების შესრულებით, რასაც ევროპა გვაძლევდა, უკრაინაზეც და მოლდოვაზეც ბევრად წინ ვიყავით. თუკი ვინმეს კანდიდატობა ეკუთვნოდა, პირველ რიგში, ეს საქართველო იყო. თუმცა, მოწინავენი უკანა პლანზე გადაგვწიეს და უკრაინა, მოლდოვა წინ წამოსწიეს. მათ უნდა განემარტათ, რომ უკრაინას კანდიდატობა არა დამსახურების, არამედ ომი გამო მისცეს. საქართველოს ხელისუფლებას, 2024 წლამდე, ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, ნაბიჯები გაწერილი ჰქონდა. მაგრამ ნახეთ, რა მოხდა? — ამუშავდა ხაფანგი. ჯერ უნდოდათ სააკაშვილის შემოსვლით მეორე ფრონტი გაეხსნათ, რაც ვერ მოახერხეს. მიშა, აქ, ხომ უკრაინელებმა, ქართველმა ნაცებმა და მათმა დასავლელმა ლობისტებმა შემოგზავნეს. დაუკვირდით, რა მოხდა: საქართველოს ხელისუფლებას 2024 წლამდე გაწერილი ჰქონდა გეგმა კანდიდატობის სტატუსის მისაღებად. ამ ფონზე, რა საჭირო იყო, ახლა, კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე განცხადების შეტანა?! უცებ, ატყდა აჟიოტაჟი — აა, თქვენ, ევროპა არ გინდათ? მე, ვიცოდი, რომ განაცხადს შეგვატანიებდნენ და მერე, უარს გვეტყოდნენ. ასე, რატომ მოხდა? — იმიტომ, რომ ევროპის სახალხო პარტიის გარკვეული ჯგუფები, რომელთაც საქართველოს თავს მოახვიეს კოაბიტაცია, 2013 წლიდან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის უკან დაბრუნებას ლამობენ. სააკაშვილის ჩამოყვანის მიზანი ჩაეფუშათ, შარლ მიშელის დოკუმენტითაც ვერაფერს მიაღწიეს, ამიტომ, ამ რეზოლუციით, საქართველო ხაფანგში მოაქციეს. სხვათა შორის, ეს რეზოლუცია შეადგინა არა ევროპარლამენტმა, არამედ საქართველოში „ნაცმოძრაობის“ დაფუძნებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ამ ენ-ჯი-ოების მიერ დადებული დასკვნები და ევროპარლამენტის რეზოლუცია ერთი-ერთში ემთხვევა ერთმანეთს. ასე, რომ კანდიდატობის სტატუსის მონიჭებაზე განაცხადი შეგვატანინეს. თან ვინ მოგვიწოდებდა ამ ყველაფრისკენ — „ნაცმოძრაობის“ ლობისტი ევროპელი დეპუტატები: ფოტიგა, კუბილიუსი, კრამერი და ა.შ., რომელთაც მერე, თავად გვითხრეს სტატუსის მონიჭებაზე უარი და მხოლოდ ევროპული პერსპექტივა მოგვცეს. არ დაგვავიწყდეს, რომ „ნაცმოძრაობა“ არის სექტა, ბანდა. ეს პარაზიტები ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტებს სისხლს სწოვენ. ხომ, გახსოვთ, როგორ დაძვრებოდნენ დერეფნიდან დერეფნებში და საქართველოს შესახებ რეზოლუციაში ათას სიბინძურეს წერდნენ. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ეტაპობრივად, მიაღწია: თავისუფალ ვაჭრობას, ასოცირების წევრობას, უვიზო მიმოსვლას. რა საჭირო იყო ასე სასწრაფოდ კანდიდატობის სტატუსის მონიჭებაზე განაცხადის შეტანა?! წლებია საქართველოს მოსახლეობას გვეუბნებიან, რომ დედაზე, მამაზე, მამაო ჩვენოზე უფრო მნიშვნელოვანი ევროატლანტიკური ინტეგრაციაა და უცებ, 30 წლის თავზე ევროპულ პერსპექტივას გვანიჭებს ევროპა, რომლის დამფუძნებლებიც ჩვენ ვართ! ეს სასაცილოა.

ვინ გვთავაზობს ევროპაში შესვლას? — ვინმე მაქარაშვილი და ვინმე ყაბალახიანი დედაკაცი. ეს მარტივი, პრიმიტიული სქემაა. 2012 წლის მერე, ხელისუფლებას, პირადად, ვაფრთხილებდი: სისხლიან რეჟიმთან კოაბიტაცია არ შეიძლება, დასასჯელი უნდა დაისაჯოს, თორემ ბუმერანგივით მოგიბრუნდებათ-მეთქი. შედეგად, 10 წლის თავზე, ისევ, ბოკერიებ-













6 გვ. →

# საქართველო ევროპაში „ნაცების“ გარეშე!

5 გვ.

ზე და საერთაშორისო მაწანწალა, მრავალხმარებადი გამოყენების აგენტ-პროვოკატორ, დამნაშავე სააკაშვილზე ვსაუბრობთ. მისასალმებელია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას ბევრ საკითხს პოლიტიკური მახვილი დაესო. მაგალითად, მან თქვა: ჩემი უფროსია ქართველი ხალხი და არა სხვა ქვეყანაო. კარგია, რომ სააკაშვილი, ქარდავა ციხეშია, მაგრამ ამ რეჟიმის მხილება უნდა გაგრძელდეს და ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისაჯოს.

**— თქვენ, ახსენეთ: დასავლური ცივილიზაციის დამფუძნებლები ვართ და თავად უნდა დავბრუნდეთ ევროპაშიო. დღეს, ევროპას ლიბერალი ფუნდამენტალისტები ამოეფარნენ...**

— დიახ, არის ამის მცდელობა. მეოცე საუკუნის დასაწყისში უდიდესმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა



თქვა: როცა ევროპა უარს იტყვის თავის ფასეულობებზე, მაშინ დაიწყება მისი დაისიო. ევროპარლამენტარიზმს ამოფარებულ ფოტიგებს, კუბილიუსებს და სხვებს ევროპული ფასეულობები არ ადარდებთ. ვინც უღირსად იქცევა, ყველა უნდა ვამხილოთ. ნეოლიბერალურმა ფსიქოზმა დასავლური ფასეულობები არ უნდა წაშალოს. რა ფასეულობები ჰქონდა „ნაცმოძრაობას“? — იგი საუბრობდა ადამიანის უფლებებზე და ამ დროს, მათ კლავდა, აწამებდა, იტაცებდა, მდინარეში ახრჩობდა, სახურავებზე აგდებდა; ასევე, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას ქადაგებდნენ და მერე, ნოტარიუსებს იბარებდნენ შუაღამეზედა ასე იფორმებდნენ სხვის ქონებებს; სამშობლო გვიყვარსო და მართლმადიდებლობას, ეკლესიებს ებრძოდნენ; ტერიტორიები ქვის გროვად მონათლეს და თუკი რაიმე მდიდარი კომპანია არსებობდა, ყველაფერი ხელთ რუსებს ჩაუგდეს. ახლა, გვეუბნებიან: თქვენ, რუსეთისკენ იხედებით, ჩვენ კი — ევროპისკენ მივდივართო. ევროპა მათთვის არის: დაგვაბრუნეთ ხელისუფლებაში, რომ ისევ უნდა მოგახრჩოთ, გაწამოთ, გაგაუპატიუროთ, მერე, კასეტები გადავიღოთ და დაგაშანტაჟოთ. აი, ეს არის მათი ევროპა. ფოტიგა რომ ჩამობრძანდა, „პოლიტ.პატიმარი“ სააკაშვილის სანახავად და არ შეუშვეს, თურმე, საქართველო დემოკრატიას აცდა. ბუჩას ტრაგედიაზე გვესაუბრებიან. მაგრამ განა მანამდე ადეიშვილმა, ლორთქიფანიძემ და სხვებმა, რომლებიც დღეს უკრაინის ხელისუფლებაში არიან, ბუჩა საქართველოში არ მოაწყვეს ადამიანების მოკვლით, წამებით, სახურავებზე შემოგდებით?! თუ უკრაინაში ბუჩა ომის დროს მოხდა, მათ ბუჩა საკუთარ — ქართველ ერს მოგვიწყვეს. აი, ვის მფარველობენ ეს ევროპარლამენტარები. განა, შეიძლება მათი შედგენილი რეზოლუცია ობიექტური იყოს?!

**— „ქართულ ოცნებას“ სამი დეპუტატი გამოეყო. როგორ ფიქრობთ, მათი პირით ხომ არ აეხდება ფარდა სიმართლეს, რასაც ღარიბაშვილი დაგვპირდა?**

— სავსებით შესაძლებელია. ძალიან კარგია რომ „ქართული ოცნებიდან“ წამოსული სამი დეპუტატი შექმნილ ვითარებაზე ღიად ალაპარაკდა, უფრო მეტიც უნდა თქვან. რიგ საკითხებს რასაც პრემიერი ახმოვანებს, საზოგადოებაში ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. ერს ერთადერთი მოთხოვნა გვაქვს: ხელისუფლება სახელმწიფოს მოსპობის მსურველთა მიმართ უფრო მკაცრი



იყოს. არ ვითხოვთ 1937 წელი მოაწყვეთ-თქო, მაგრამ გავიაზროთ, რომ დემოკრატია დამნაშავის დასჯა, ქვეყნის მოღალატეებისთვის პასუხის მოთხოვნაა. „ნაცმოძრაობის“ არაერთი წევრი რუსეთიდან მილიარდებს იღებს და ამ დროს, ჩვენ გვამუნათებს. ისინიც პასუხობენ: რუსეთში რა მინდა, რა თქმა უნდა, ევროპაშიო. მაშინ, მიტინგზე მოდიო — ასე, პატიჟებენ ახალგაზრდებს ეს სახედაკარგული ნაცბანდის სალახანები. ქუჩაში ფეხით ხშირად დავდივარ. დღეს სპორტის სასახლესთან ჩამოვიარე, ვიღაც უტვინო იდგა უზარმაზარი დავთარით, სადაც ეწერა — სიმართლე ევროპაა, უსამართლობა რუსეთიო. მკითხა: რომელზე მოაწერთ ხელსო? ვუპასუხე, ხელს მოვაწერ შემდეგზე — არა ნაცებს-მეთქი. სახე წაეშალა. ნაცბანდის გამოგზავნილი იყო და არ ესიამოვნა რაც ვუთხარი.

**— აქციის მონაწილეების, ძირითადი, მოთხოვნა დეპოლარიზაციის, დეოლიგარქიზაციის მოთხოვნის შესრულებაა. როგორ გესმით ეს ტერმინები?**

— ხალხმა ამ შეთითხნილ ტერმინებზე თავის სიტყვა უნდა თქვას. დეპოლარიზაციაზე ჩვენი არასამთავრობოებიჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომამდე წერდნენ და ამას ევროპას უგზავნიდნენ. რას გულისხმობდნენ, გაუგებარია. თუ ვინმე ქართულ პოლიტიკას პოლარიზებულს ხდის, ეს გახლავთ ნაცბანდა. შეხედეთ, პარლამენტის სხდომებს, ნაცებს მუშტი-კრივი აქვთ გამართული, სკამებზე დახტიან, იგინებიან, სიტუაციას ძაბავენ, მოლაპარაკებებზე არ მოდიან. ამაზე მეტი პოლარიზაცია რა გინდათ?! ნაცებისთვის, მათი დასავლელი ლობისტებისთვის იცით რას ნიშნავს დეპოლარიზაცია? — ხელისუფლებას ხელი მოაწერიონ, რათა ყოფილი პროკურორი გვარამია და ნაცბანდის გაცი და გაიმი, არმაზის კერპი, მრავალჯერადი ხმარება-გამოყენების აგენტი-პროვოკატორი, გაპონი სააკაშვილი გარეთ გამოათრიონ. ახლა, დავსვათ კითხვა: რა არის დეოლიგარქიზაცია? ნაცები არჩევნების გზით მიზანს ვერ აღწევენ და გადაწყვიტეს, იქნებ, ივანიშვილს პირობა შეუქმნან საქართველოდან წავიდეს და შედეგად, დაამარცხონ გუნდი, რომელიც მან ჩამოაყალიბა. ნაცბანდა უნდა ამხილონ, ხელისუფლებას აქვს ამის ბერკეტი. მე რომ მქონდეს ბერკეტი, ვიცი ნაცსექტას რასაც ვუზამდი, რა თქმა უნდა, კანონიერ ფარგლებში. ისეთმა პატრიოტმა ხალხმა როგორიც თქვენი რედაქტორია, ქვეყნის მტარვალებისგან გასათავისუფლებლად უნდა ვიბრძოლოთ. დიახ, ეს ნაძირლები უნდა ვამხილოთ. ხელისუფლებამ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობა — საქართველო ევროპაში ნაცების გარეშე.

**— ვინ დგას რეალურად, ამ აქციებზე და სად არის ქართველი ხალხი?**

— ქართველი ხალხი თავის სიტყვას, აუცილებლად, იტყვის. ჯერ ვუყურებთ როგორ განვითარდება მოვლენები. ესენი დიდხანს ვერ გაქაჩავენ. მერე, ჩვენ ჩავატარებთ აქციას. მე, მეცხრე თაობის თბილისელი ვარ და ვიცი, რა განწყობაა თბილისში, ასევე, რეგიონებში. მათ ხომ გამოიყვანეს ხალხი, ათჯერ მეტს ჩვენ გამოვიყვანთ. საინიციატივო ჯგუფები ყველგან შექმნილია. ველოდებით, რა მოხდება. ხელისუფლება იმოქმედებს თუ არა, ამაზე აღარ ვსაუბრობ. ხელისუფლებამ თავის საქმე გააკეთოს, ჩვენ — ჩვენსას გავაკეთებთ. ქართველი ერის მოქმედების დროა იმიტომ, რომ მიშუტკას — ქვეყნის ღალატის და კორუფციის ამ კლასიკურ მაგალითს, ასევე, მეგის ქარდავებს, ადეიშვილებს ქვეყანას ხელში არ ჩავუგდებთ, ეს გამორიცხულია. აი, ასეთი განწყობაა ნაცბანდის მიერ გამწარებულ ადამიანებში. ასე, რომ ფრთხილად იყვნენ, ქართველა ერმა თუ გაიღვიძა, ყველას თავის ადგილს მიუჩენს!



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ზვიად გამსახურდიას სიტყვა წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს

ძმანო და დანო, დღეს შევიკრიბეთ ამ მიწაზე, სადაც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში იმართებოდა მიტინგები და შეკრებები. დღეს ჩვენთან არიან ის სულები, საქართველოს თავისუფლებისათვის მრავალი მათგანი შემდგომში წამებულნი, საქართველოს დამოუკიდებლობის სულის ჩამდგმელნი და ამ დღეს გვმართებს დიდი დაფიქრება და დიდი ანალიზი ჩვენი ბრძოლის, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი კურსის განსაზღვრისათვის.



მეგობრებო, გილოცავთ ყველა ქართველისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს და დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესთვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა. მეგობრებო, ნუ იყოფინ ორპირობა და გულადრძილობა ამ დღეს, ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა ახრჩილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი.

ძმანო და დანო, ქართველი ერი ქრისტეს მცნებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე და მე მინდა შეგახსენოთ იგავი იოანეს სახარებისა, რამეთუ ეს იგავი მიესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენს გუშინდელ დღეს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას – იმჟამად წართმეულს, იმჟამად დამარცხებულს და ჩვენ დღეს უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს იგავი სახარებისა არის შემდეგი: როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტანჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წეს-ჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს უნდა მიეტევებინათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტევოთ? და წარუდგინა ქრისტე – ღმერთკაცი და ბარაბა – ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: ჯვარს აცვ ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარაბა, მოგვიტევე ავაზაკი და ის ავაზაკი გულში ჩაიხუტა და ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია-ღმერთკაცი.

ძმანო, უსაშინელესი ტრაგედია დაატყდა ისრაელს ამის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა ოცი საუკუნის მანძილზე მათ დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, დაკარგეს ენა, დაკარგეს ტერიტორია, გაიფანტნენ მთელ მსოფლიოში, არნახული ტანჯვით ვიდოდნენ და მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ შეუნდო უფალმა ის, რომ მათ აირჩიეს ავაზაკი, ავაზაკის გზა და უარყვეს ქრისტე. და, აი, ქართველი ერი, ღვთის ერი, ასევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით. მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარსდგა არჩევანი. აი, ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და, აჰა, მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და ულმერთო ერისა, ბარაბასი. და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი, ჩვენ უარვყავით დიდი ილია და ჩვენ ტყვია ვესროლეთ მას.

და, აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა, და დაგვატეხა თავს არნახული სასჯელი, რომელიც სამოცდაათი წელი გვანადგურებდა.

აი, ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკი, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა.

აი, მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი, მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი, მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, მტერთაგან ძლეულნი. მამული ჩვენი მტერთა ჩვენთა ფეხქვეშ გაითელა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ. და, აი, მოდის ახალი არჩევანი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა. შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი,, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა. აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს. და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე!



ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი – ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.

გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!

კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!

# დომხალ-დამხობა „ევროპიულად" და ე.წ. ოპოზიციის მორიგი გაფარჩაკება



## 24 ივნისს და მას შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ 23 ივნისს ე.წ. ოპოზიციონრები მთელი დღე გვემუქრებოდნენ, ხვალ ხელისუფლებას დავამხობთ და ხელისუფლების მომხრეებსაც სეირს გაჩვენებთო, 24 ივნისი მაინც ჩვეულებრივად გათენდა. როგორც ქართველმა სინოპტიკოსებმა რადიოთი გადმოსცეს, 28 გრადუსი სითბო დღისით იქნება, 17 კიდე ღამე და ალაგ-ალაგ შეიძლება ცვალებადი მოღრუბლულობაც შეინიშნებოდესო.

იმ ღამეს ტელევიზორში ცნობილი ხროვის წარმომადგენლები გამოლაგდნენ (მშვილდაძეები, ლაგაზიძეები, ჭუტლექსები, ბუტლექსები, ბუღაძეები) მწუხარე სახეებით და გვაუწყეს, რომ 24-ში საღამოს 8 საათზე აუცილებლად უნდა გავსულიყავით რუსთაველზე, რათა ჩვენი ხალხოსნური სიმრავლით დაგვესრულებინა ეს ანტიევროპიული ხელისუფლება. დიახ, ეს გვითხრეს კეზერაშვილის ტელეუბორნიიდან მახინჯმა არსებებმა, რომლებიც რუსეთიდან ფინანსდებიან და ევროპიულ მიდგომებს აწვებიან. რუსული აგენტურა მუშაობს, უნიჭოდ, მაგრამ მაინც მუშაობს.

რევოლუციაო... ეს ხელისუფლება უნდა ავაყირაოთო... ბიძინა ივანიშვილი ევროპის კართან დგას და შიგ არ გვიშვებსო... ჰულბაზ სანიკიძემ ივანიშვილს მიმართა, საქართველო დატოვეო... წარმოგიდგენიათ? ეს ღინღლი უდიდეს ქველმოქმედს ეუბნება, შენი ქვეყანა დატოვეო.

უარესს გეტყვით, გია ხუხაშვილს უთქვამს, ამ რთულ პერიოდში მზად ვარ, ბატონ ბიძინას დახმარების ხელი გავუწოდოო. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, ამ უდღეურ მრჩეველს მას შემდეგ აქვს ხელი გაწვდილი, რაც ივანიშვილმა სოლოლაკის დაღმართზე დააგორა, მაგრამ ის ხელს აღარ ართმევს.

რევოლუციების მეტი რა მინახავს?!

1. საფრანგეთში რო დაიწყეს, ზუსტად 10 წელიწადი გააგრძელეს. პოლარიზაციაც ფეხებზე დაიკიდეს, კოჰაბიტაციაც და დეოლიგარქიზაციაც, ვინც არ მოეწონათ, თავი გილიოტინაზე დაადებინეს და ძაან ფაქიზად წააგდებინეს!

2. 1917-ში რუსეთი რომ არიეს, ეგეც მაგარი იყო - ნიკოლოზ მეორის ოჯახიდან დაწყებული, იმდენი ხალხი ჟლიტეს, თვლაც კი უაზრობა იყო. ვინმე მოსწონდათ, არ მოსწონდათ, სუ ფეხებზე ეკიდათ, მთავარი იყო, ცარისტული ავტოკრატია დაემარცხებინათ და დაამარცხეს კიდევაც!

3. თუმცა მანამდე იყო ინდოეთი - ეგენი კიდე ბრიტანელებს აუხტნენ - კუდებით ქვები ასროლინეს. რომ არა მამა მაჰათმა განდი, არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ ყისმათი აქაც რევოლუციონერების მხარეზე იყო!

4. 1773 წლის 16 დეკემბერს ბოსტონის ნავსადგურში 60-მა კოლონისტმა ინგლისური გემებიდან 342 ყუთი ჩაი ზღვაში რომ გადაყარა, ხომ გახსოვთ? არ დაგიმალავთ, ეს ჩათლახობა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მოპოვების წინაპირობა გამოდგა, დაიწყეს და გავიდნენ კიდევაც დამკაში!

რომელი ერთი ჩამოვთვალო?

1963 წლის 28 აგვისტოს ვაშინგტონის სამოქალაქო უფლებების მარში არ დაგავიწყდეთ. აღარაფერს ვამბობ პუჭურა რევოლუციებზე, ფერადებად რომ მონათლეს და შემდეგ - მაიდანიო, არაბული გაზაფხულიო, ვარდებისაო.

ჰოდა... იმის თქმა მინდოდა, ამდენის მომსწრესა და მნახველს აეგეთი სირთაოზა რევოლუციონერები, ფოტოზე რო ჰხედამთ, არსად შემხვედრიან.

ყველაფერს რო თავი დავანებოთ, ისეთი ყურებჩამოყრილები და უგერგილოები არიან, წიხლის ჩაზელა მოგინდება!

რა დიღმელაშვილი, რომელი გაგარინი, რა მაქარაშვილი, რომელი ჭუტა, სადაური ბუღაძე, რის აკუ, რის კაკუ, რომელი ტაკო, რა ბოკერია, რა ჩერგო, რა მათე, ხალხო, ამათ ჩვენ ქვეყანას ბუზი როგორ უნდა აუფრინონ?

ჰა, ამიხსენით, ამ ავადმყოფებმა ჩვენი ქვეყანა რანაირად უნდა ააყირაონ... მაშ, ჩვენ აღარცა ვყოფილვართ და აღარც არაფერი გვიკეთებია?!

არ გადამრიოთ!

ლაგაზიძის დაგეგმილი აჯანყება არ გაიშვა სოფელ ყიზილაჯლოს გადასახვევამდე!

და მაინც... 24 ივნისს დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, ნაცები, შმაცები და გნაცები „მოლოტოვის კოქტეილებს" ამზადებენ, რევოლუციის მოწყობას აპირებენო. ჭიჭე ვაშაძე გამობუნძულდა, ჩათვალეთ, ეს მთავრობა უკვე გადამდგარია, ჩვენ, ოპოზიციამ უკვე უნდა დავიწყოთ კოალიციური ხელისუფლების ფორმირებაო. ცხადია, ჭიჭე პრემიერის თანამდებობაზე ნაკლებს არ დათანხმდება, მაგაზე ოცნებობს. ალბათ გახსოვთ, საპარლამენტო არჩევნებისას ამტკიცებდა, პრემიერ-მინისტრი უნდა ვიყოო, თაკო ჩარკვიანმა წარმოგვიდგინა. საქმე ისე იყო, სად ერეკლე როა და სად კიდე პაპაჩემის ყურებიანი ქუდი, მაგრამ საზოგადოების ბეჩავ ნაწილს აბოლებდა, ახლაც აბოლებს, ესენი მიდიან და მე მოვდივარო, მე და თაკოვო.

24 ივნისი იმითაც გახლდათ გამორჩეული, რომ ოპოზიციური ჯოგის კიდევ ერთი აქტივისტი ლუსტრირდა - ვინმე გიგა მაქარაშვილმა თბილისში 50 ათას დოლარად ბინა იყიდა და მამაზე, არტემ მაქარაშვილზე გააფორმა. ისე, ეს სახელები და გვარებიც რომ რაღაცნაირები აქვთ? დავიჯერო, არტიომა მაქარაშვილი ქართველია? ჰმ... ქართველი არა, ჩემი ფეხები. ერთი შოთა დიღმელაშვილია ქართველი (გაგარინი გახლავთ) და მეორე კიდევ მაია ბაღდასაროვა (ორჯონიკიძე). ეხლა არ დამიწყოთ, ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვსო. ისედაც აქვს, როგორც დაგიბარებიათ. ადამიანები, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას მალავენ და გვექართველებიან, გაცილებით საშიშნი არიან, ვიდრე ხმლითა და მახვილით შემოვარდნილი გადამთიელები - საბუთი შეიძლება გადააკეთო, რაც გინდა, ის ჩაწერო, მაგრამ გენს ვერაფერს უზამ, გენეტიკას ვერ გადააკეთებ. მე იმას არ ვამბობ, სომეხი, ქურთი, ან აზერბაიჯანელი გენეტიკურად ცუდიამეთქი, არა, მე ვლაპარაკობ იმ ბილწებზე, წარმომავლობას რომ მალავენ და აქეთ ჭკუას გვასწავლიან, აქეთ გვეევროპელებიან და პირდაპირ ეთერში ტირიან, ევროსაბჭომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ მოგვანიჭაო. არ დაიჯერებთ... თუმცა, რატომაც არ დაიჯერებთ? ალბათ საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ აცრემლდნენ „ჭუტავიზიის" ეთერში გირჩი ზურაბას ძმა და ეკა გიგაური. უყურა ინგა გრიგოლიამ და ჩაილაპარაკა: აი, ამიტომაც არ დავთმობთო. რა აქვს გრიგოლიას დასათმობი, ან კიდევ რას არ დათმობს? ან კი ვის რაში სჭირდება მისი დანათმობი? თამაშობენ, სპექტაკლებს დგამენ - ტირიან, ღნავიან, მოსთქვამენ, ევროკავშირში რეიზა არ გვიღებენო? გეგონება, თუ მიგვიღეს, ქუჩაში „ბიჩოკს" აღარ გადააგდებენ და განსხვავებული აზრის მქონეს თავზე ნაგავს არ დააყრიან.



დაინახეს რა ე.წ. ოპოზიციონრებმა ცოტაოდენი ხალხი რუსთაველზე, ეგრევე დაიწყეს ბრექვა და გადატყლარჭული განცხადებების კეთება - ისაო, 3 ივლისს რომ მომდევნო მრავალათასიან აქციას გავმართავთ, ბარემ იქვე „ტექნიკური მთავრობაც" დავამტკიცოთ, დრო აღარ ითმენს, ევროკავშირმა დავალებების შესასრულებლად მხოლოდ 6 თვე მოგვცა, „ქართული ოცნება" მაგას ვერ გააკეთებს, ეს ყველაფერი ჩვენი აღსასრულებელიაო. „პროევროპელმა" ნინო ბურჯანაძემ მტკიცედ თქვა, პოლიტიკური პარტიები უნდა შევიკრიბოთ და ჩვენი დღის წესრიგი მივაშველოთ ამ პროცესს, რომელიც ახლა მიმდინარეობსო!

აკაკი (აყუ) მინაშვილმა დაადგინა, ეროვნული თანხმობის მთავრობაში უნდა იყვნენ ადამიანები, ვისაც პარტიული ინტერესი არ აქვთ, ვინც ყველასთვის იქნება მისაღებიო. ისე, ამდენი წლების შემდეგ ისევ აყუ მინაშვილი რომ აპირებს მთავრობის დაკომპლექტებას, უნდა დავსხდეთ და ვიცინოთ, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია.

სხვათა შორის, ისიც მაგარი სასაცილოა, 24 ივლისის აქციაზე კიევიდან ვოლოდიმირ ზელენსკი რომ ჩართეს და იმანაც დაგვაბოლა:

„დონბასი და ყირიმი ჩვენი მიწაა, ისევე, როგორც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია თქვენი - თუ ვინმეს უნდა, ეს დაივიწყოს, წაშალოს, აუცილებლად შევახსენებთ, ჩვენ თქვენთან ვიქნებით, დაგეხმარებით ტერიტორიების დაბრუნებაში".

გაიგონეთ? არა, კარგად გაიგონეთ? ტერიტორიების დაბრუნებაში დაგეხმარებით, ნუ გეშინიათო. შე უბედურო, საკუთარ ხალხს დაეხმარე, უკრაინა რომ წაშალე საერთოდ მსოფლიო რუკიდან, ვინ ხარ, საიდან მოხვედი, საით მიდიხარ? ჯერ ერთი, სხვა ქვეყნის პრეზიდენტი რომ იმ აქციის მონაწილეებს მიმართავს, სადაც მთავრობისა და პრემიერის გადადგომას ითხოვენ, ეს რას ნიშნავს, სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას, ხომ? მეორეც - ვინ ჩემი ფეხებია ზელენსკი, აქეთ, დაუკრეფავში რომ გადმოდის?!

ნახეთ, როგორ იქცევა ნაქართველარი იდიოტი, ვინმე დავით არახამია და რანაირ სირობებს ლაპარაკობს:

„ძალიან საწყენია იმის გააზრება, რომ ქართველები ერთი ოლიგარქის ტყვეობაში მოექცნენ - უკრაინა და ჩემი გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველო დიდ ევროპულ ოჯახს შეუერთდეს".

გეუბნებით, ეს ტიპიც მაგარი იდიოტია! ჩემი გუნდიო, უკრაინაო, ქართველები ოლიგარქის ტყვეობაში მოექცნენო, რუსეთს ვერ ეომებიანო, თავისუფლება დაკარგესო... თუმცა ყველაფერს გავაკეთებ, საქართველო რომ დიდ ევროპულ ოჯახს შეუერთდესო. ჰა, ჰა, ჰა... დიდ ევროპულ ოჯახში ამან უნდა შეგვიყვანოს, ვინმე არახამიამ, თანაც რუსული ლაპარაკით, ქარ-



თულად „გამარჯობასაც“ რომ ვერ ამბობს, გამოათრევენ ხოლმე კეზერას უბორნიაში და „გამარდჟობაო“!

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დიდი რუსი მამულიშვილის, შოთა გაგარინის (დიღმელაშვილად გადაკეთებულის) თქმით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებით მორიგი აქცია 3 ივლისს დაიგეგმა. მანამდე რეგიონებში უნდა ვიაროთ, უფრო მეტი ხალხი უნდა მოვაგროვოთო.

იარეს!

ოღონდ არა ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებმა, არამედ „ნაციონალებმა“. ხატია დეკანოიძე ჩავიდა ქუთაისში, ბავშვებს „ბუკლეტები“ და კანფეტები დაურიგა - გამოაგდეს! ნიკანორ მელია ჩავიდა სადღაც (რა მნიშვნელობა აქვს, სად?), იყბედა, იბოდიალა - გამოაგდეს! ე.წ. კახელი ბოტკოველი ჩავიდა სამეგრელოში, იყბედა, იბოდიალა - გამოაგდეს! მაქარაშვილი ჩავიდა (დიდ მოღვაწესავით) ზესტაფონში - ჰკრეს წიხლი და გამოაგდეს!

ამათ ცოტაოდენი ხალხი რომ დაინახეს რუსთაველზე, თავში აუვარდათ, იფიქრეს, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო. არადა, ფაქტია, ესენი მოსახლეობას ეზიზღება, ამ უჯიშოების დანახვა არავის უნდა.

კიდევ ერთი სახარხარო მომენტი: ლევან ხაბეიშვილის „დადგენილების“ თანახმად, მომავალ ტექნიკურ, ანუ გარდამავალ მთავრობაში ცნობილი პოლიტიკოსები არ უნდა იყვნენ, ქვეყანა დროებით უნდა მართლონ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ და „გამჭვირვალე ორგანიზაციის“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა. ესე იგი, ჩვენი სამშობლო უნდა მართოს ორმა ცნობილმა ბატმა. თუმცა აქვე პრინციპული პრეტენზია გამოთქვა „ევროპიული“ ორიენტაციის პოლიტიკოსმა ნინო ბურჯანაძემ:

„ლევან, მე არ მომეწონა შენი თეზისი, რატომ ლომჯარია და გიგაური? ბევრი საინტერესო ახალგაზრდაა, ვისაც შეუძლია საქართველოს მართვა, თუნდაც ანზორ ბიწაძე“.

ჰოოო... თუ ანზორიკოზეა ლაპარაკი, მაშინ - ჰოოოო!

ანზორიკოს აქვს ქვეყნის მართვის გამოცდილება - მაშინ, როცა სააკაშვილი გადადგა, ფორმალურად საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა და დედამისი პირველ პირად დარჩა, იმავე სააკაშვილს ანზორიკო ხელჩაკიდებული დაჰყავდა. აი, სწორედ მაშინ შეისწავლა ამ ბიჭმა სახელმწიფოს მართვის საფუძვლები. მართალია, მიშას მაშინ ანზორიკო „მძევლად“ ჰყავდა აყვანილი, ემანდ ნინომ არჩევნები გაყალბებულად არ გამომიცხადოსო, მაგრამ ბავშვი იმდენად თვითცნობიერი იყო, სახელმწიფოს მართვის საკითხებში ძალიან ღრმად ჩაიხედა. ამას კი ვყვები ირონიულად, მაგრამ „მძევლობის“ ამბავი სრული სიმართლეა, თვით „წიოწია“ ნინოსგან ვიცი.

სამოქალაქო საზოგადოებამ (გაგარინ-დიღმელაშვილის პირით) ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა მოითხოვა-მეთქი, უკვე გითხარით. ამავე დროს ულტიმატუმიც წაუყენეს, 1-კვირიანი ვადაც მისცეს. ირაკლი ღარიბაშვილმა სამოქალაქო საზოგადოების, ანუ გიგა არტიომის ძე მაქარაშვილის ულტიმატუმი არ შეასრულა. ისე, სულ მიკვირს, უცხოტომელები გვარებს რომ გადმოიქართულებენ, მამებსა და პაპებს (ბაბუებს) სახელებს რატომ არ უცვლიან? შე კაი კაცო, შე დიდო მამულიშვილო, გვარად კი ხარ მაქარაშვილი, მაგრამ მამა რომ დაგრჩა არტიომად, ვერ ხვდები? ჰოდა, ჩვენ სად გვყავს არტიომას ბიჭის გადასაყანებელი პრემიერ-მინისტრი?!

ტელეუბორნიებში ისეთი ე.წ. პოლიტიკოსებიც გამოჰყავთ, არავინ რომ არაფერს ეკითხება, არაფერი რომ არ იციან და სიფათებიც წაშლილი აქვთ - მაგალითად, ასეთი გახლავთ ბადრი ჯაფარიძე, რომელიც ამტკიცებს, ევროკავშირმა ქართველ ხალხს კარი (უნდა ეთქვა, გულიო) კი გაუღო, მაგრამ ივანიშვილმა დახურა თავისი მმართველობითო. მაშ, კაცო, საქართველოში ხაზარაძე-ჯაფარიძის მმართველობა რომ ყოფილიყო, ეხლა ევროკავშირში ვიქნებოდით.

28-29 ივნისიდან ე.წ. ოპოზიციონრებმა ინტენსიურად დაიწყეს რეგიონებში ბოდიალი. მაქარაშვილი ბათუმში ჩაეთრა და კინაღამ გაიგდეს შუა ქუჩაში. ფიქრია ჩიხრაძე გორის ბაზარს ეწვია ევროპიული იდეებით, მაგრამ როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ძალზედ მწარედ შეაწოვინეს, ისეთები უთხრეს, ნირწამხდარი გამობრუნდა დედაქალაქში. ამათ სქესური დაკვირვებაც არ უნდა, აშკარად ჩანს, რომ ზუსტად „ქართული ოცნების“ მეთოდი აქვთ გადმოღებული - ალბათ გახსოვთ, რა ხდებოდა 2012 წელს რეგიონებში, როგორ ხვდებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები მოსახლეობას და როგორ იმართებოდა მრავალათასიანი მიტინგები. მეთოდი კი გადმოიღეს, მაგრამ მაშინდელ შეხვედრებსა და ამჟამინდელს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, მაშინ რეგიონებში ბიძინა ივანიშვილსა და მის მხარდამჭერებს ტაშით ხვდებოდნენ, ახლა მაქარაშვილსა, ბუკა (ალექსი) პეტრიაშვილს, ლელა წურწუმიას და მათთანებს ფურთხით ხვდებიან, აგინებენ და ლამის ფიზიკურად უსწორდებიან, საზოგადოების მხრიდან აშკარად იგრძნობა ზიზღი და აუტანლობა.





რაღა დროს ფიქრია ჩიხრაძე და რაღა დროს ვინმე ალექსი პეტრიაშვილი, ან კიდე რაღა დროს ბადრი ჯაფარიძე და მამუკა ხაზარაძე არიანო? - იკითხავთ თქვენ და რასაკვირველია, მართლებიც იქნებით, რაღა დროს ესენი არიან? დიახ, ამათმა დრომ ჩაიარა კაი ხნის წინათ, მაგრამ გეგონება უკვდავი კაშჩეები არიან, 30 წლის შემდეგ ისევ მოუნდათ ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის არევა. მოუნდათ, მაგრამ ჩემი და თქვენი ფეხები, არ გამოუვათ, იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ ახლა სრულიად სხვა დროა, სხვა დროოოოო!!!

მოვლენათა მიმდინარეობას, 3 ივლისის აქციამდე ე.წ. ოპოზიციონრებმა რაღაცნაირი პროგრამა შეიმუშავეს - თავიანთი მსტოვრები იმ რეგიონების მიხედვით გადაანაწილეს, სადაც ყველაზე მეტად ვერ იტანენ. მაგალითად, გიგი უგულავას და ლევან თარხნიშვილს ვერ იტანენ ფოთში და სწორედ იქ „მიავლინეს“. კი გამოაბუნძულეს ბაზრიდან, მაგრამ ხომ „მიავლინეს“?

მოკლედ, დაადო თავი გივიევიჩმა და ალ. პეტრიაშვილთან ერთად წავიდა თელავის სამხარეო მუზეუმისკენ. რასაკვირველია, დახვდნენ იქა ერეკლე მეორის „პადელნიკები“ და გადაუკეტეს ალაყაფი.

ისაო, რას ამბობთო... მე ერეკლეზე აუგი არასდროს დამცდენია, ეგ ჩემი სათაყვანებელი მეფეაო. განა იყოვო? არა, ეხლაც ჩემი მეფეაო. ეგ კი არა, თამარიც ჩემი სათაყვანებელიაო.

შე აბუეტო, თუ ერეკლე შენი სათაყვანებელი მეფეა, მა აჯამ ლევანაი რათ დეეთანხმეო? - მიუგეს კახელებმა.

უი, უი, უი... ეხლა კი ცილსა მწამებთო, განა ეგრე არაკაცურად მიცნობთო? - გაიღიმა ცალყბად გივიევიჩმა და თავი ჩაღუნა.

არაკაცურად რო გიცნობთ, იმიტო დაგხვდით აქა, შე უნამუსოვ, ერეკლეს ქალაქში ფეხი რანაირად დაადგიო?! - არ მოეშვნენ კახელები.

გამოყარეს, ლამის პანჩურები ურტყეს, კეთილები აგინეს. ესენიც წამობანცალდნენ თბილისისკენ „ნასიამოვნებნი“ - მაგათ ძალიან მოსწონთ, როცა შინაურების პროჭებს უხსენებენ, მაგაზე კაიფობენ.

პრინციპში, არც მთლად ისეა საქმე, რომ კაიფობდნენ და ამდენი ფურთხი სიამოვნებდეთ... ალბათ ყველანი ვხვდებით, რომ ამ უბედურებს მეტი გზა არ აქვთ, ბრძანება გაცემულია და უნდა შეასრულონ. ვინ გასცა ბრძანება? ვინ და მათმა „უმფროსმა“ თემურ ალასანიამ. გაიხსენეთ, როგორი დირექტივები მისცა მან გუბაზ სანიკიძეს შარშან - არავითარი მოლაპარაკება, არავითარი მშვიდობა, მსოფლიო თანამეგობრობას უნდა ვაცნობოთ, რომ ძალაუფლებას საქართველოში იღებს დროებითი, ანუ ტექნიკური მთავრობაო. რა ევროპა, რის აზია, რომელი ანტარქტიდა? ესენი ასრულებენ საქართველოდან გაპარული ალასანიას დავალებებს. ჩაიდო ფული, ამათ აიღეს, ჯიბეში ჩაიდეს და ახლა უნდა შეასრულონ, მეტი რა გზა აქვთ? ვუყურებ მათ ჯახირს ბაზრებში და აშკარად ვგრძნობ, როგორ იტანჯებიან შინაგანად - აკეთებენ (აკეთებინებენ) იმას, რაც ძალიან უჭირთ, მაგრამ ფულიც როგორი უარსაყოფელია? ესენი ხომ ფულის გამო საკუთარ დედას, მამას და ნათესავებს დახოცავენ?!

## 2 ივლისს და მას შემდეგ

2 ივლისს, დილით ლევან ვასაძემ განაცხადა, თურმე წუხელ მამულიშვილები დაუკავებიათ, როგორც მითხრეს, პოლიციამ მათზე იძალადაო. დიახ, წინა დღეს მართლაც დააკავეს 26 „ალტ-ინფოელი“ იმის გამო, რომ არ მომხდარიყო შეტაკება. ლევან ვასაძემ მიმართა ბიძინა ივანიშვილს: რა გინდა, რატომ აკეთებ ასე ყოველ წელსო? თუ შენ მართლა გინდა, რომ საქართველოში აღიკვეთოს ეს უბედურება, რა გიშლის ხელს, შენს მართულ „ქართულ ოცნებას“ დაავალო, მიიღოს კანონი, რომელიც აკრძალავს გარყვნილების პროპაგანდასო. ვითომ ბატონმა ვასაძემ არ იცის, რა ამბები მოჰყვება ასეთი კანონის მიღებას, მით უფრო ახლა, ამ პერიოდში, როცა საშინაო დავალებების შესასრულებლად 6 თვე მოგვცეს!

და საერთოდ... „ალტ-ინფოელთა“ შეტევა ხელისუფლების წინააღმდეგ როგორ გავიგოთ? დავუშვათ, მთაწმინდის პარკიდან განარიდეს ადამიანები იმის გამო, რომ არ დაიღვრილიყო სისხლი, განა ეს იძლევა იმის საბაბს, „ნაცმოძრაობას“ დაემსგავსო, „ქართული ოცნების“ ოფისს მიადგე და უკადრებელი იკადრო? არა-მეთქი, არა!

ამათ, ამ კონსერვატიულელებმა ფაქტობრივად თავზე გადაიფსეს, აგინეს ბიძინა ივანიშვილს და აგინეს ირაკლი ღარიბაშვილს. დიახ, ეს უკვე თავზე გადაფსმაა! სიმართლე გითხრათ, ასეთი „თავდაფსმა“ პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო. ისინი, კონსერვატორელები და მათი მომხრეები გაცოფდნენ, როცა ლგბტ-ები პარპაშობენ, ჩვენები რატომ დაიჭირესო? იმიტომ დაგიჭირეს, რომ სწორედ ახლა პროვოკაციაზე არ უნდა წამოვეგოთ, ახლა ნამდვილად არ არის სამაგისო დრო. არა, სამაგისო დრო არასოდეს არ არის, მაგრამ ამჟამად ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდივართ, შემოსეული გვყავს შინაური და გარეული მტერი, ფაქტობრივად ალყაში ვართ!

ამ თემაზე მეტს აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ვინც ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს გინებას დაუწყებს, ჩვენ რომც გავუტაროთ, ჩვენი ბუნება, წარსული, აწმყო და მომავალი ვერ გაუტარებს!

## 3 ივლისს და მას შემდეგ

ეს დღეც ჩვეულებრივად გათენდა, მზემ ჩვეულებრივად ამოანათა, რამოდენიმეჯერ ქარიც ამოვარდა, გეგონება ბუნებამ ამოიქაქანაო. ერთი ეგ არი... სანამ გათენდებოდა, სიზმარში ნიკა გვარამია ვნახე (გეფიცებით, არ ვღადაობ), ციხის ბოსტანში საქმიანობდა, ძალზედ კმაყოფილი იყო - რეჰანი, ქინძი, ოხრახუში და ქონდარი მოვიყვანეო. მაჩვენა, შენიშვნა მივეცი, ცოტა ახლო-ახლო დაგითესია, მომავალ წელს გან-განზე დათესე, უფრო გალაღდება-მეთქი. კარგი, გავითვალისწინებო. პოლიტიკაზეც ჩამომიგდო სიტყვა, მაგ სფეროში მაინც და მაინც აღარ ვერევი, „ნაცებმაც“ ჩამხსნეს, მაგრამ არ მწყინს, პირიქით, დავისვენეო. წამოსვლისას გვარამია ქინძსა და რეჰანს მატანდა, უარი ვუთხარი, პატიმრებს იქით უნდა ვეხმარებოდე, ვერაფერს მოვაკლებ-მეთქი. ვიცოდი, ეგეთი კეთილი გული რომ გქონდაო. ძაან გულთბილი შეხვედრა კი გამოგვივიდა, მაგრამ ის ვერ გავიგე, მის სანახავად რატომ მივედი და რა მინდოდა. ეხლა არ მკითხოთ, საბანი კარგად გეფარაო? დიახ, კარგად მეფარა!

მოკლედ, 3 ივლისს „ნაციონალებმა“, „შმაციონალებმა“ და მათთან გათანაბრებულმა თაღლითებმა დილიდანვე გაახურეს თავიანთი უნიჭო პროპაგანდა, დღეს

10 გვ. →

# დომხალ-დამხობა „ევროპიულად“ და ე.წ. ოპოზიციის მორიგი გაფარჩაკება



← 9 გვ.

შევიკრიბებით, ამაღამ აღარ დავიშლებით, ტექნიკურ მთავრობას ჩამოვაყალიბებთ და ამ ხელისუფლებას შევცვლითო. დიახ, ეს მთავრობა უნდა დავამხოთ, ოღონდ მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმებითო. სხვათა შორის, მეც ძალიან დამაინტერესა, როგორ უნდა დაემხოთ მთავრობა მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმებით და დაველოდე, სხვა რა გზა მქონდა? თან იმანაც დამაინტერესა, როგორ უნდა დაემხოთ ხელისუფლება ვინმე დიღმელაშვილს (შოთა გაგარინს), მღნავარა ლელა წურწუმიას და გიგა არტიომის ძე მაქარაშვილს (მაქარიანს). ამათნაირები სხვებიც არიან, მაგრამ ჩამოთვლა მეზარება, რა აზრი აქვს? ჰო, აი, ინტერესმა ლამის მომკლა, ნეტავ ამ უბედურებს ხელისუფლება როგორ უნდა დაემხოთ? ამათ რომ ეგ მოეხერხებინათ, ჩვენ თავები რაღად გვინდოდა ცოცხალი?!

თუმცა... სანამ აქცია დაიწყებოდა, უკვე გამოლაგდნენ ტელევიზორში ე.წ. არასამთავრობოები - ბაბუცა პატარაია, ლაშა ტუღუში და სხვები. ეს ტიპი, ეს ტუღუში ეგრევე იქ გაჩნდება ხოლმე, სადაც საჭმო და სარგებლიანობა ჩნდება, ეგრევე მიიღებს ხოლმე „ჭკვიანურ“ გამომეტყველებას და იწყებს მონოტონურ ქადაგებას. ესე იგი, მოთხოვნები ასეთია: მათი სურვილის თანახმად, უნდა გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი, უფრო მეტად დაიწიოს საარჩევნო ბარიერმა (რათა, ვადამდელ არჩევნებს რომ ჩაატარებენ, თავისუფლად შელაგდნენ პარლამენტში), დაგვითმეთ საპარლამენტო კომისიები და ადგილები მთავრობაშიცო. გაიგონეთ? გადადექით, წადით, ჩვენ ხალხი არ გვირჩევს, მაგრამ ძალაუფლება მაინც უნდა გადმოგვაბაროთო. ამას ამობობენ პატარაიები და ტუღუშები! მშვილდაძეები და დიღმელაშვილები! სხვები და სხვები! არტიომიჩები და ბუღაძეები!

როგორც იქნა, დაიწყო... როგორც იქნა, შეიკრიბნენ და არა იმდენნი, რამდენნიც 24 ივნისს იყვნენ. აქციის მონაწილეთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. არადა, უნდა გაორმაგებულიყო, აბა, ტყუილად იწოწიალეს რეგიონებში? აბა, ტყუილად აიტანეს ამდენი ფურთხი და ლანძღვა-გინება? არ გამოუვიდათ ჩანაფიქრი - კვლავაც არ აქვთ მუხტი, მხარდაჭერა და შესაძლებლობა. გამოაცხადეს, დღეს პოლიტიკოსების გამოსვლები არ იქნება, დღეს მხოლოდ არასამთავრობოების წარმომადგენლებიო. გასაგებია, სცადეს რევოლუცია ე.წ. პოლიტიკოსებმა - ჩაფლავდნენ, სცადეს რევოლუცია ე.წ. ჟურნალისტებმა - ჩაფლავდნენ და ახლა უნდა სცადონ არასამთავრობოებმა. აქციის მიმდინარეობისას რამოდენიმეჯერ ითქვა, ამაღამ აქ დავრჩებითო, მხოლოდ ამაღამო, რა ჰქონდათ ჩანაფიქრი, თავისას ვერ გავიგეთ.

მიხეილ სააკაშვილის რამდენიმე კინკილა მომხრემ, განსაკუთრებული მოთხოვნაც გააჟღერა, გამოუშვით ყოფილი პრეზიდენტი ციხიდან და ნიკა გვარამიაც გამოუშვით, მერე ვილაპარაკოთ ტექნიკურ მთავრობაზეო. ეს მოთხოვნა წამოაყენეს იმ მოხუცებმა, წლების წინათ სააკაშვილის ხელისუფლებამ კბილები რომ დააძრო და ამას „ღიმილიანი საქართველო“ უწოდა. შეიძლება ისინი არ იყვნენ, მაგრამ ძალიან ჰგავდნენ, ყოველ შემთხვევაში, კბილები აკლდათ. სხვათა შორის, ამ მოთხოვნას ყურადღება არავინ მიაქცია, გაატარეს.

ლაშა ბუღაძემ კვლავ დაიწყო თავგანწირული გამოსვლა: ულტიმატუმი ხელისუფლებამ ყურად არ იღო, არ გადადგა, მათ დაგვიპირისპირეს აგრესია, რეგიონებში გაუგებარი სიძულვილი. აქედან ვთავაზობთ მშვიდობას, ისინი კი გვთავაზობენ სიძულვილსო. ჩვენ აქ შევიკრიბებით მანამ, სანამ არ მივიღებთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს.

ბუღაძემ თქვა, ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ „ქართული ოცნება“ გამოსწორდება, ჩვენ მას არ ვენდობითო. ტიპი იქით ამადლის „ოცნებას“ რომ ის ხელისუფლებაშია. იყო გამოსვლები, პათეტიკური შემოძახილები, ყალბი პატრიოტიზმი და ასე შემდეგ. მსახიობმა ლაურა რეხვიაშვილმა ილაპარაკა ნახევარი საათი, ოღონდ ძალიან მოკლედ, ასე ადამიანს ევროპელობა უნდოდეს, პირველად ვნახე - ქალმა იტირა.

ერთი გამოვიდა რაღაცნაირი ხმით, რა თქმა უნდა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ როცა საქმე სამშობლოს გადარჩენას ეხება, ის დამნაშავე უნდა გავათავისუფლოთო. ეს არის ევროპული ღირებულებაო. მიკვირს, საიდან მოჰყავთ ამდენი „გენიოსი"? ესე იგი, სააკაშვილი დამნაშავეა, მაგრამ ეხლა უნდა გავათავისუფლოთო, საქმე სამშობლოს და ევროპულ ღირებულებებს ეხებაო. აი, ლოღიკა!

ყველაზე მაგარი გივიევიჩმა წამოაწვინა (გივიევიჩი ლაშა ბუღაძეა), ეს ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის აბსოლუტურ მონობაშიაო, აბსოლუტურშიო. ძაან მონობაში, მეტი აღარ შეიძლებაო. თურმე ოლიგარქია შეუთავსებელია ევროპულ ღირებულებებთან, ჩვენ არ ვართ ფეოდალიზმშიო. ისიც გამოიყვანეს, ხელოვნების მუზეუმში მთელი თავისი შთამომავლობით რომ იყო დასაქმებული - იულონ გაგოშიძე, მოვედით ახალგაზრდები, წინ ნურავინ დაგვიდგებით, ქვეყნის ღალატს არავის გაპატიებთო, ჩვენი მომავალი ევროპააო, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობსო. ბუღაძემ თავიდან თქვა, გამაფრთხილეს, არ მეყვირა, უხერხულია, არაეთიკურიაო. ჰოდა, გადავწყვიტე, აღარ ვიყვიროო. უნდა ეთქვა, აღარ უნდა ვიღნავლოო. თუმცა მოგვიანებით დაავიწყდა, რომ აღარ უნდა ეღნავლა და მაინც იღნავლა, თუ ჩვენ ერთად არ ვიქნებით, არც ერთი მოთხოვნა არ შესრულდებაო. ბუღაძემ, ჩვენი მოთხოვნები არის ევროკავშირის 12 მცნების შესრულებაო, განა მხოლოდ 12 პუნქტისაო? მცნებისაო! აი, ეს რომ ვინმეს ეტყვის, მონა ხარო, პანჩური არ უნდა ამორტყა პირდაპირ კუდუსუნში?!

მთავრობას ვადას 12 საათამდე ვაძლევთ, უნდა გადადგესო. 24 ივნისს 3 ივლისის საღამოს 8 საათამდე მისცეს, არ გადადგა და 4 საათი დაუმატეს.

გამოვიდა დიღმელაშვილი და აქციის მონაწილეებს შესთავაზა, ახლა ერთ სიტყვას ვისკანდირებ და მინდა, ეს სიტყვა ერთად ვისკანდიროთო: სა-ქა-რთ-ვე-ლო! სა-ქა-რთ-ვე-ლო! სა-ქა-რთ-ვე-ლო! გაიჭაჭა, ეს ჩემისა, არავინ აჰყვა, ვერ ისკანდირა მოსახლეობის ნაწილთან. აქ ჩვენი გეგმაც აინტერესებს აქციის მონაწილეებსო და... მოდით, ეტაპობრივად გაგიმხელთ, სრულად რომ გაგიმხილოთ, ამ გეგმის არსებობას საფრთხე შეექმნებაო. ამიტომ ნახევარ საათში გეტყვით გეგმის ერთ ეტაპსო. ცირკია, ხალხის გაჩერება უნდათ დილამდე, ეშლებათ და იტყუებენ. დიღმელაშვილი (გაგარინი) იხვეწება, დილამდე დავრჩეთ და ყველაფერს გეტყვითო, თავიანთი მომხრე მასას ღლიან, ვერაფერს აკეთებენ, არაფერი გამოსდით.

11 საათზე გადაწყვიტეს, რომ 4-5 ათასი ადამიანი უნდა მისულიყო „ქართული ოცნების“ ოფისთან. აქვე ხაზგასმით თქვეს, რომ იქ მისვლა უნდა უნდა იყოს არაძალადობრივიო.

მოკლედ, ბოლოს მაინც გაამხილეს იდუმალებით მოცული გეგმის მთავარი მუხლი - დილით უნდა შემოვერტყათ მთავრობის სასახლეს და მჯდომარედ დავხვდეთ ირაკლი ღარიბაშვილსო. თან დილითო. კი, მაგრამ რაში დასჭირდათ რუსთაველზე გათენება, მაგისთვის დილით ვერ მივიდოდნენ მთავრობის სახლთან? ალბათ გახსოვთ, იგივენაირი ჯამბაზობა ნიკანორ მელიამაც ჩაიფიქრა, მაგრამ დილით მთავრობის სახლთან კაციშვილი არ იდგა.

მოკლედ, აქცია გაწელეს, გაწელეს და თავიანთი მომხრეებისგან გულისწყრომა დაიმსახურეს. ერთ-ერთმა თავგადაკლულმა ფანმა, ნინუკა ბორჩხაძემ ასეთი რამ დაწერა: „2 კვირაა, ყელი გამოვიღადრე, ვაცალოთ-თქო. გაცალეთ. ან გეგმა მოჯვით,

ან გააჯვით. სორი, მაგრამ ვერ ვუყურებ მშვიდად 2019 წლის გამეორებას“!

სირცხვილი და თავის მოჭრა!

ჩაფლავებული აქციების მეტი რა მინახავს, 2012 წლიდან მოყოლებული მაგას ვუყურებ, მაგრამ ეგეთი, დღეს რომ ვნახე, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ისტორიას არ ახსოვს!

ვინმე გიორგი მშვენიერაძემ, ე.წ. არასამთავრობომ, რატომღაც თავისი ჰაბიტუსით თაგვს რომ მაგონებს, „ქართული ოცნების“ ოფისთან ხალხი მიიყვანა და შენობას ეჩხუბა.

ეს ის ადგილია, სადაც კობახიძე განცხადებებს წერს, ასწორებს, ჭერში აწყობს, მერე გამოაქვს და კითხულობსო. ბოროტულ განცხადებებსო!

გაუმარჯოს ევროკავშირსო!

სხვებიც ეჩხუბნენ ცარიელ შენობას, კვირას იქ დაცვის გარდა ვინ იქნებოდა?

იმათაც ჩაილაპარაკეს, გაუმარჯოს ევროკავშირსო და რავი, საით წავიდნენ, აღარ უჩვენებიათ.

გითხარით, დიღმელაშვილისა და მაქარაშვილის აქცია არ გაიშვა ყიზილაჯლოს გადასახვევამდე-მეთქი!

დაცარიელებულ რუსთაველზე გამოვიდა და... ვინც სახლში წავიდა, დაურეკეთ და უთხარით, ხვალ დილით კანცელარიასთან მოვიდნენ, ღარიბაშვილს მთავრობის სხდომა არ უნდა ჩავატარებინოთო. ჩვენ იქ ვიქნებით დაბანაკებულიო.

როგორც ჩანს, ამ ჩემის თვრამეტიანებს, მთავრობის სახლის მიწისქვეშა შესასვლელ-გასასვლელების ნახაზები არ აქვთ. ლაშა ბუღაძემ, აქციის მთავარმა წამყვანმა განაცხადა, სულ სხვანაირი აღქმები გვქონდა და სულ სხვანაირად კიდევ გამოვიდაო. ბატონმა გივიევიჩმა ისე ფილოსოფიურად ჩაახუჭუჭა შექმნილი მდგომარეობა, ეს უნდა ნახოთ, ეს მხოლოდ საკუთარი თვალით უნდა წაიკითხოთ:

„მე მგონი, ახლა ეს სურათია - მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სხვა აღქმა გვქონდა, ტაქტიკური თვალსაზრისით და სხვა გამოვიდა, ემპირიული და თეორიული არის სხვადასხვა რამ ხოლმე. საბოლოო ჯამში, ჩვენი სულისკვეთება არის უცვლელი - ოლიგარქის გარეშე საქართველო, რომელიც უნდა შევიდეს ევროკავშირში. დღესაც განწყობების კონტრასტულობა ჩანდა. ზოგი უფრო ტემპერამენტულია, ზოგი უფრო ფრთხილი, ზოგი უფრო რაციონალური, ზოგი უფრო მომენტის... მე საერთოდ ორიენტირებული ვარ, რომ ყველა პროცესი დაექვემდებაროს ანალიზს, მაგრამ მე არ ვგრძნობ თავს ფრუსტრაციაში. უბრალოდ, ეს რთული პროცესია. ტაქტიკურად რაღაც შეიძლება დღეს არ გამოვიდეს, ხვალ გამოვიდეს, ზაფხულის პერიოდია, მაგრამ გვაქვს დრო მობილიზების.

უნდა გამოგიტყდეთ, ეს არის ანალიზის პიკი, მიგნება, გაგება და შედევრი. აქედან ყველაზე სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ ბატონი გივიევიჩი არ არის ფლუსტრაციაში, ანუ რაც ვერ გამოვა დღეს, გამოვა ხვალ, რადგან გაზაფხულია.

### 4 ივლისი

გათენდა. მთავრობის სახლთან ოციოდე უბედურს მოეყარა თავი. დაჭმუჭნულ ტანისამოსსა და დასიებულ თვალებზე ეტყობოდათ, რომ ღამე არ ეძინათ. პრემიერ-მინისტრი თავისუფლად შევიდა სამსახურში. „იმედის“ კორესპონდენტმა გამოაცხადა, ვერ შეამჩნიესო. ვერ შეამჩნევდნენ, აბა, რა იქნებოდა, ალბათ მთელი ღამე უქიშინებდნენ, ანუ ეწეოდნენ. პრემიერი ეზოში შევიდა ერთი ჩვეულებრივი მანქანით, არავითარი ესკორტი, არავითარი დაცვა. როდესაც ის ეზოში შედიოდა, მთავრობის კანცელარიასთან ხუთიოდე იდიოტიღა იყო დარჩენილი.

ასე გასრულდა რევოლუციის მორიგი მცდელობა. ამ ჯერზე ე.წ. არასამთავრობოები ჩაფლავდნენ, ვინ იქნება შემდეგი? ალბათ არავინ, დარჩა კი ვინმე? ჩემი აზრით, ყველამ სცადა.

ჩემეული დასკვნა: სულ ვფიქრობდი, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვებდა. ახლა ეს ფიქრი უფრო გამიმყარდა და გამიჩნდა აზრი, რომ „ქართული ოცნება“ 2030 წელსაც ხელისუფლებაში იქნება. სულ კარგად ბრძანდებოდეთ, გისურვებთ მშვიდობას და აღმავლობას. თუ იქნება მშვიდობა, იქნება აღმავლობაც, ორი აზრი არ არსებობს!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# სწორედ რუსეთი ცდილობს საქართველოში ევროპული ფასეულობების დისკრედიტაცია მოახდინოს



*გვესაუბრება*
*პოლიტოლოგი გია ჰუჭავა*

**— ბატონო გია, საზოგადოება აღშფოთებულია უკრაინის კალათბურთის გუნდის მწვრთნელის უხამსი ჟესტის გამო. ქართველებმა ეს შეურაცხყოფად აღიქვეს. ეს ეკუთვნოდა უკრაინის საზოგადოებისგან საქართველოს?**

—უკრაინის ნაკრების ლატვიელმა მწვრთნელმა, რომელიც ადრე საქართველოში წვრთვნიდა კლუბ "სოხუმს" ( მიაქციეთ ყურადღება!), უხამსი ჟესტით აგინა საქართველოს ნაკრების ბერძენ მწვრთნელს. მე შემთხვევით არ აღვნიშნე, რომ გარკვეული პერიოდი ის ცხოვრობდა და საქმიანობდა საქართველოში. შესაბამისად, მან ძალიან კარგად იცოდა ქართველების ფსიქოტიპი და წესები. მე არ მინდა, მისი ეს საქციელი პოლიტიკას დავუკავშირო. საერთოდ, ამგვარი საქციელი სპორტულ სამყაროში, განსაკუთრებით კი მწვრთნელებისგან, მიუღებელია. იმედს გამოვთქვამ, ფიბა (FIBA) მიიღებს შესაბამის ზომებს და სულ ცოტა, გაფრთხილებას მისცემს უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს. სხვათა შორის, 2014 წლის ფიფამ (FIFA), ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციამ, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე უხამსი საქციელის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო საბერძნეთის ნაკრების პორტუგალიელმა მწვრთნელმა ფერნარდო სანტუშმა. ასე რომ, პრეცენდენტები არსებობს და ჩვენს შემთხვევაში სასწაული არ მომხდარა.

**— თქვენ თქვით, რომ საყურადღებოა მისი მწვრთნელობის გარკვეული პერიოდი კლუბ „სოხუმში“. რაზე მიანიშნებთ?**

— იმაზე, რომ ეს ჟესტი ქართველისათვის ძალზე შეურაცხმყოფელია. საბჭოთა პერიოდში მე მოსკოვსა და ბელორუსში ვცხოვრობდი და ბევრი ჟესტი ან გამონათქვამი, რომელსაც იქ მისალმების ნაცვლად იყენებენ, ქართველისთვის შეურაცხყოფის ტოლფასია.

**— კიდევ დავაკონკრეტებ: ლატვიელი მწვრთნელის საქციელი, თქვენი აზრით, ჩვეულებრივი სპორტული ჟარგონის ნაწილია? ასეთ მგრძნობიარე პერიოდში, სამწუხაროდ, ეს პოლიტიკურ მანერად აღიქვეს...**

— მე არ მსურს სპორტი დავუკავშირო პოლიტიკურ პროცესს. რასაკვირველია, სპორტული ჟარგონი არ არის. მე არ გამოვრიცხავ, რომ მწვრთნელი ემოციას აჰყვა. მაგრამ, როგორც წესი, მწვრთნელი თავისი ქცევით მაგალითს უნდა აძლევდეს გუნდის წევრებს, მას მეტი თავშეკავება და ტაქტი მოეთხოვება.

**— აშკარა უკმაყოფილება იხატება ლიბერალური ტრენდისადმი ქართულ საზოგადოებაში, რადგან ამ ტრენდის პოპულარიზატორებად ე.წ. ოპოზიციის მხარდამჭერები და თვით ეს მარგინალური ოპოზიცია წარმოგვიდგება. რა ხდება სინამდვილეში?**

— ქართული საზოგადოება ტოლერანტულია, ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ ვინ არიან ეს ე.წ. „ლიბერალები“? აქ, პირველ რიგში, მინდა საზოგადოების იმ ნაწილს ვკითხო, რომელიც საკუთარ თავს „ლიბერალს“ უწოდებს — თუ იციან ამ ტერმინის მნიშვნელობა? სხვადასხვა ქვეყანაში ტერმინ „ლიბერალს“ სხვადასხვა დატვირთვა გააჩნია. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ლიბერალებად მემარცხენე ძალებს მოიხსენიებენ. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ამ ტერმინს სხვა, უფრო ნაკლები დატვირთვა აქვს, თუმცა იქაც მემარცხენე ძალებს გულისხმობენ. დიდ ბრიტანეთში ლიბერალებს სულ სხვა მნიშვნელობით მოიხსენიებენ.

საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ტერმინმა „ლიბერალი“ უარყოფითი დატვირთვა მიიღო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამაში ლომის წვლილი თავად ამ ე.წ. „ლიბერალებს“ მიუძღვით. სააკაშვილის პოლიტიკური გუნდი, რომელიც საკუთარ თავს საქართველოში „ერთადერთ ჭეშმარიტ ლიბერალურ და პროდასავლურ ძალად“ მიიჩნევს და ყველა სხვა დანარჩენი აქაო და პრორუსულები არიანო, სხვა არაფერია თუ არა ევროპის პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილის ძალებში მხარდაჭერის მოპოვება. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი რუსეთიდან იმართება. მათი მთავარი მიზანია ჭეშმარიტი ევროპული და დასავლური ფასეულობების დისკრედიტაცია. რუსი პოლიტოლოგი სერგეი კარა-მურზა თავის მონოგრაფიაში „Революции на экспорт“ აღნიშნავს, რომელიმე ქვეყანაში რა უნდა გაკეთდეს კონკრეტული პოლიტიკური იდეის დისკრედიტაციისათვის: მაგალითად, უნდა შეიქმნას პოლიტიკური პარტია ხმამაღალი სახელწოდებით, ქართულ სინამდვილეში ეს აღმოჩნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მან უნდა ამტკიცოს, რომ არის კონკრეტული პოლიტიკური იდეოლოგიისა თუ იდეის მატარებელი და რეალურად აკეთოს ყველაფერი ამ იდეის დისკრედიტაციისათვის. სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა თავისი მართველობისას ყველაფერი გააკეთა დასავლური ორიენტაციის დისკრედიტირებისათვის.

**— მე ვიცი, დასავლური ღირებულებების და ნატოს ერთ-ერთი პირველი მხარდამჭერი და მომხრე თქვენ ბრძანდებით. ნატო—სამხედრო—პოლიტიკური ალიანსი— რატომ გადავიდა პრიორიტეტულობის თვალსაზრისით ჩვენთვის, ასე ვთქვათ, უკანა პლანზე. მისი ადგილი ევროკავშირმა ჩაანაცვლა? რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ევროკავშირი მეტ აქტივობას ავლენს. რას ნიშნავს ეს?**

— ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი დღეს არის ყველაზე მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია. მართალია, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ეს ორგანიზაცია უფრო პოლიტიკურ ორგანიზაციად იქცა, მაგრამ რუსეთის აგრესიის შემდეგ ნატო კვლავ იბრუნებს თავის პირვანდელ დანიშნულებას, რომლის მთავარი მიზანია ალიანსის წევრების კოლექტიური უსაფრთხოება.

რუსეთი, ყოველ შემთხვევაში, ღიად არასდროს ეწინააღმდეგებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროსტრუქტურებში ინტეგრირებას. ევროკავშირი არასდროს ყოფილა სამხედრო ორგანიზაცია. ამას გარდა, ეს, შესაძლოა, საქართველოში ბევრმა არც კი იცის, რომ ევროკავშის სტრუქტურები, რბილად რომ ვთქვად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80 წლების მიჯნაზე „ხელთ იგდეს“ მემარცხენე ძალებმა. მათი მთავარი მიზანი იყო რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიასთან - სსრ კავშირთან დაახლოება.

სსრ კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა საფრანგეთის სოციალისტ პრეზიდენტთან ფრანსუა მიტერანთან ერთ-ერთი შეხვედრის მერე წამოაყენა „დიდი ევროპის“ მოსაზრება - ატლანტიკიდან ვლადივოსტოკამდე. სხვათა შორის, ერთ ერთმა პირველმა, ვინც ევროკავშირის შექმნის იდეა წამოაყენა 1915 წელს, იყო ლევ ტროცკი და ამას აღნიშნავდა კიდევაც წერილში „ევროპის შეერთებული შტატები“. ის, რომ მომავალი ევროული კავშირი აუცილებლად მემარცხენე ძალების მიერ იქნებოდა კონტროლირებადი, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იწინასწარმეტყველა „დიდმა წინასწარმეტყველმა“ ფრიდრიჰ ნიცშემ ნაშრომში „ძალაუფლებისაკენ სწრაფვა“, რომელიც 1906 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა დამ გამოცა.

დღეს მსოფლიოში მიდის იდეების მძაფრი შეჯახება. ეს შეჯახება გასული საუკუნის 50-იან წლებში იწინასწარმეტყველა ამერიკელმა მწერალმა აინ რენდმა თავის რომან-ანტიუტოპიაში „ატლანტმა მხრები გაშალა“, ანუ გლობალური მასშტაბით მიმდინარეობს დაპირისპირება მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის.

ამას გარდა, რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი არის შეპყრობილი იდეა-ფიქსით სსრ კავშირის აღდგენით და რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის კვლავ აღორძინებით. ასე რომ, არავითარ მსოფლიო გაფანტულობას ადგილი არა აქვს. ვლადიმერ პუტინის ამ ავანტიურას, შესაძლოა, მოჰყვეს რუსეთის საბოლოო დაშლა.

XX საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა ისტორიკოსმა არნოლდ ტოინბიმ, რომელმაც მთელი ცხოვრება შეალია ცივილიზაციების კვლევას, აღნიშნავდა, თუ როგორ საბოლოოდ ინგრეოდა იმპერიები, მან ამის სამი წინაპირობა დაასახელა: 1) ეკონომიკის მილიტარიზაცია; 2) ეკონომიკის ოლიგარქიზაცია; 3) აგრესიული საგარეო პოლიტიკა, მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობა და მეზობლების სუვერენიტეტის ხელყოფა, იმპერიის აღდგენის მიზნით, ეს სხვა არაფერია თუ არა ყოფილი მეტროპოლიის აგონია. როგორც ვხედავთ, დღევანდელი რუსეთის ფედერაცია, არნოლდ ტოინბის თეორიის სამივე პუნქტს აკმაყოფილებს.



**— ბატონო გია, საქართველოში გავრცელებულ მოწოდებას „შინ ევროპისკენ“ ხალხში პოპულარიზაციას ის ადამიანები და არასამთავრობო ორგანიზაციები უწევენ, რომლებიც, სიმართლე ვთქვათ, ხალხში დისკრედიტებულნი არიან და ბევრი მათგანი რუსეთთან არიან საქმიანობით დაკავშირებული. ზოგი ფარულად, ზოგი ღიად. როგორ უნდა ენდოს ამათ ხალხი და რა „თამაშია,“ თქვენი აზრით ეს?**

— ისტორიულად და მენტალურად საქართველო ყოველთვის იყო ევროპასთან ახლოს. მარტო კოლხეთის აკადემია რად ღირს, რომელიც იმჟამინდელი ევროპის - ბერძნულ-რომაულ სამყაროში, თუ თანამედროვე ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ძალზე რეიტინგულად ითვლებოდა და ათენის აკადემიასაც კი სჯობნიდა. ამის შესახებ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ევგენი წერს, რომელიც აღნიშნავდა, რომ მამამისმა, რომელიც კოლხეთის აკადემიაში სწავლობდა, იგი ათენიდან კოლხეთში გაუშვა სასწავლებლად.

ზემოთ გავიხსენე სერგეი კარა-მურზას მოსაზრება, თუ როგორ უნდა მოახდინო ამა თუ იმ პოლიტიკური იდეისა თუ პოლიტიკური ორიენტაციის დისკრედიტაცია. დღეს რუსეთი ცდილობს ფსევდოლიბერალიზმის საშუალებით ქართულ საზოგადოებაში ევროპული ფასეულობების დისკრედიტაცია მოახდინოს. მაგრამ ლოზუნგი „შინ ევროპისაკენ“ საქართველოში არ იმუშავებს, სანამ ევროპას წარმოაჩენენ მხოლოდ უმცირესობების დამცველ ძალად. „უმცირესობები“ კი არიან მემარცხენე ძალების მიერ კონტროლირებადი დაჯგუფებები. ამ დაჯგუფებებში ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მათ ორგანიზაციებში იქნება მათი უფლებები დაცული და ა.შ. მათ დიდძალი ფინანსური რესურსი გააჩნიათ. თანაც, მემარცხენე ძალებს მემარჯვენეებისგან განსხვავებით, გააჩნიათ ინტელექტუალთა მხარდაჭერა...

**— ჩვენ მომსწრე ვართ მსოფლიოს ახალი გადანაწილების. როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ?**

— ვფიქრობ, არანაირ მსოფლიო გადანაწილებას ადგილი არა აქვს.

ჯერ კიდევ 2004 წელს ვლადიმერ პუტინმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას ღიად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედია, განსაკუთრებით იმ ხალხებისთვის, რომლებიც ამ კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ. საქართველოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდეგ არასდროს შეუწყვეტია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. გაიხსენეთ, რამდენი აჯანყება მოხდა 1801 წლის შემდეგ.

რუსეთის ფედერაციის დაშლა პირველად 1993 წელს იწინასწარმეტყველა ცნობილმა რუსმა დისიდენტმა ვლადიმერ ბუკოვსკიმ. 2019 წლის დეკემბერში კი რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ. აქ საინტერესო კი ის არის, რომ რუსმა აკადემიკოსებმა რუსეთის დაშლის სცენარი იგივე გაწერეს, რაც 2000 წლების პირველ ნახევარში განაცხადა ვლადიმერ ბუკოვსკიმ. რუსეთში 2000 წლიდან იდევნებოდა ალტერნატიული მოსაზრება. პუტინის რეჟიმმა მოიცილა ყველა პოლიტიკური ოპონენტი. ისტორია მეორდება. დღევანდელმა რუსეთის ხელისუფლებამ ისტორიის გაკვეთილები არ გაითვალისწინა.

თქვენ სწორედ აღნიშნეთ, რომ მე ვარ დასავლური იდეებისა და ღირებულებების მატარებელი, შესაბამისად ვთვლი, რომ საქართველოს ადგილი არის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

ქართული სახელმწიფო დღეს ბეწვის ხიდზე გადის. ჩვენ არ უნდა მოვხვდეთ რუსეთის ფედერაციის კოლაფსის ნანგრევებში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ირანი – ჩვენი მეზობელი

## ირანი გუშინ, დღეს, ხვალ



(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N22)

### რუსებმა პირველად სცადეს სპარსეთის დაპყრობა

მე-18 საუკუნემ ახალი იმპულსი მოიტანა. რუსები საკმაოდ მიუახლოვდნენ სპარსეთის საზღვრებს.

პეტრე პირველმა სამხედრო ლაშქრობისათვის მზადება დაიწყო და საამისოდ, პირველ რიგში, ჯაშუშები დაგზავნა ირანში. ამ მზვერავთაგან მთავარი იყო პოდპოლკოვნიკი არტემ ვოლინსკი, რომელმაც ირანში 1715-18 წლებში იმოგზაურა. მისი მიზანი გახლდათ სპარსეთის შესახებ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინფორმაციების შეგროვება და ინდოეთისაკენ მიმავალი სახმელეთო და საზღვაო გზების დაზვერვა.

1721 წელს შვედებთან ჩრდილოეთის ომის დამთავრების შემდეგ პეტრე პირველმა ირანის დასაპყრობად საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა. რუსულ არმიას წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რადგან სპარსეთი ავღანელებს ჰქონდათ დაპყრობილი და მაშინდელი შაჰი ტყვედ იყო ჩავარდნილი. ირანის მთავრობა არ არსებობდა. რუსებმა დაიპყრეს ბაქო, დილანი, მაზანდარანი და ასტრაბადი და მზად იყვნენ დაპყრობითი ომების გასაგრძლებელად, თუმცა ბედმა უმტყუნათ.

1725 წელს პეტრე პირველი მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი მემკვიდრეები ტახტისა და გვირგვინისათვის ერთმანეთს დაერივნენ. პეტერბურგის სამეფო კარზე ზედიზედ ხდებოდა სასახლის გადატრიალებები და ამ შინაარეულობის გამო რუსეთმა სპარსეთში მთელი დაპყრობილი ტერიტორიები დაკარგა.

### რუსებმა ირანი დაამარცხეს და თავიანთ ვასალად აქციეს

მე-19 ს-ის დასაწყისიდან რუსებმა ირანს გაძლიერებული ძალებით შეუტიეს. ორი მრავალწლიანი ომის შედეგად სპარსეთს საქართველო, სომხეთი და ჩრდილო აზერბაიჯანი წაართვეს და 1828 წელს თავიანთი გამარჯვება თურქმანჩაისთან დადებული საზავო ხელშეკრულებით დააგვირგვინეს.

ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის იმპერიის საზღვარი მდინარე არაქსზე გაივლო. დამარცხებულ ირანს კი კასპიის ზღვაზე სამხედრო ხომალდების ყოლა აეკრძალა. რუსებმა საკუთარ თავს ნება დართეს სპარსეთის ტერიტორიაზე საკონსულოები გაეხსნათ, სადაც მოისურვებდნენ და რამდენსაც მოისურვებდნენ და ამ საკონსულოებს ექსტერიტორიალურობის სტატუსი მიანიჭეს. რუს ვაჭრებს სპარსეთში უბაჟოდ ვაჭრობის უფლება მისცეს. სპარსელ ვაჭრებს კი რუსეთში ანალოგიური ვაჭრობის უფლება არ ჰქონდათ. რუსეთის იმპერატორმა საკუთარ თავს უფლება მიანიჭა, სპარსეთის შაჰი ირანის ტახტზე დაემტკიცებინა, ან არ დაემტკიცებინა. დაბოლოს, სპარსელებს, რომელთაც ომი არ დაუწყიათ, რუსებმა 20 მლნ. რუბლის, იმ დროს უზარმაზრი თანხის, კონტრიბუციის გადახდა დააკისრეს.



შაჰ ფათ ალი



ალექსანდრე გრიბოედოვი

ირანის მაშინდელი შაჰი, სუსტი და უიღბლო მმართველი ფათ ალი შაჰი (ირანს მართავდა 1797-1834 წლებში), რომელმაც ტახტი მემკვიდრეობით მიიღო თავისი ბიძის, პირსისხლიანი დესპოტისა და საჭურისის, საკუთარ მსახურთა ხელით მოკლული აღა მაჰმად ხანისაგან, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა, ჯიბეები გამოიფიხიკა და რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, კონტრიბუციას თანდათანობით იხდიდა.

იმ წლებში რუსეთის ელჩმა ირანში ალექსანდრე გრიბოედოვმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნესელროდეს მისწერა: კონტრიბუციის გადასახდელად სპარსელებმა გადაადნეს სახელმწიფოს მთელი ოქროს მარაგი და თვით სამკაულებიც კი შაჰის ჰარემიდანო. გრიბოედოვს სანკტ-პეტერბურგიდან მოუვიდა პასუხი: სპარსელებს კონტრიბუცია ბოლო კაპიკებამდე გამოსწურეთო. და კიდევაც გამოსწურეს.

ამის შემდეგ ირანში ჩასული და იქ მომუშავე რუსი დიპლომატები, სამხედროები, ვაჭრები და ჩინოვნიკები, ბატონკაცებად, პრივილეგირებულ ფენად იქცნენ სპარსეთში. თანაც, მათი ქცევის საფუძველი იყო ზიზღი ამ აზიური ქვეყნისა და მისი წეს-ჩვეულებებისადმი და მისწრაფება, ყველა პრობლემა ძალადობით გადაეჭრათ. ამის გამო რუსები ხშირად ზარალდებოდნენ. მათ შორის, სამხედროებიცა და დიპლომატებიც. მაგრამ რუსთა საერთო სულისკვეთება ისეთი იყო, რომ თვით ყველაზე ჭკვიანი და განათლებული რუსი ჩინოვნიკიც კი თავს ვერ იკავებდა და სპარსელებს უგულებელყოფით, ზიზღითა და აბუჩად აგდებით ეპყრობოდნენ, რის გამო გამძვინვარებულ სპარსელთა ხელით საშინელი სიკვდილით იღუპებოდნენ.

ამ ვითარების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ ირანში რუსეთის წარგზავნილი ალექსანდრე გრიბოედოვის დაღუპვა. ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი ირანელთა ზნე-ჩვეულებებს კარგად იცნობდა, სპარსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა და ირანში რუსეთის წარგზავნილის მაღალ პოსტზე სწორედ ამიტომ დანიშნეს. დიდი ხნის ჩასული არ იყო ირანში ალექსანდრ გრიბოედოვი ირანში ჩავიდა, რომ შაჰის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ჩინოვნიკმა, გამუსლიმებულმა სომეხმა ვიზირ მუხტარმა ერთ-ერთი სპარსი, გავლენიანი პირის ჰარემიდან გამოქცეული ორი სომეხი ქალიშვილი და მათი მოახლე, ქართველი საჭურისი მიუყვანა და სთხოვა: ეს უბედურები სექსმონები არიან, სასტიკ ბატონს გამოექცნენ და იქნება რუსეთის საელჩოს შენობაში შეიფარო, თორემ დაიჭერენ და საშინელი სიკვდილით მოგკლავენ, ეს გარდაუვალია.

და მაინც, ალექსანდრემ ქალები და საჭურისი შეიფარა.

გაქცეულთა პატრონი გამწარდა და რუსეთის საელჩოს იერიშით ასაღებად ხალხი შეყარა. ეს ამბავი შაჰის კარზეც გაიგეს. შაჰის ჰარემის მთავარმა საჭურისმა საელჩოში ზემოთხსენებული ვიზირ მუხტარი გაგზავნა და დააბარა: გამძვინვარებული ხალხის უზარმაზარი მასა რუსეთის საელჩოსაკენ მოემართება, მისი შეჩერების არავითარი საშუალება არ არსებობს, გაიქეცით, თავს უშველეთ, თორემ ყველას დაგხოცავენო. გრიბოედოვმა შეტყობინება დამცინავი ღიმილით მიიღო და თავდაჯერებულად განაცხადა:



სიკვდილი ელითო. ეს იყო გრიბოედოვის პირადი არჩევანი. მან კარგად იცოდა, თუკი ისლამურ ქვეყანაში იმყოფები და შეიფარებ ორ ქალს სხვისი ჰარემიდან და მათთან ერთად მათ მომვლელ საჭურისს, რომელმაც პატრონის ყველა საიდუმლო იცის, გამძვინავარებული პატრონი და ადგილობრივი მოსახლეობა ლუკმა-ლუკმად აგჩეხავენ და საშინელი

რუსეთის საიმპერატორო მისიის წინააღმდეგ ხელის აღმართვას ვერავინ გაბედავსო.

რუსებმა საელჩოს კარ-ფანჯრები საიმედოდ დაგმანეს და შენობაში გამაგრდნენ.

1829 წლის 30 იანვარს ცივი იარაღით, ხმლებით, დანებით, ნაჯახებით, ფიწლებითა შეიარაღებულ სპარსელთა ბრბო რუსეთის საელჩოს გარს შემოერტყა. რამდენჯერმე სცადეს კარებისა და ფანჯრების შენგრევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. შემდეგ საელჩოს სახურავზე ავიდნენ, სახურავი ჩაანგრიეს, შენობაში ჩავიდნენ და შიგ მყოფებს დაერივნენ. გრიბოედოვი ოსტატურად იცავდა თავს ორი თოფით და 18 სპარსელიც დახოცა. თოფს ვიზირ მუხტარი უტენიდა, რომელიც თავის თანამემამულე ქალთა დასაცავად დარჩა საელჩოში. სპარსელთა ბრბო საელჩოს მოედო და ყველა იქ მყოფი ამოხოცა. გრიბოედოვი და ვიზირ მუხტარი ნაკუწებად აჩეხეს...

ეს იყო რუსთა ქედმაღლობისა და მასპინძელი ქვეყნის არად ჩაგდების შედეგი. ასეთი შემთხვევები ბევრი ხდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

# საით მიაქანებენ მსოფლიოს ლიდერები სამყაროს?

პოლიტიკური მოვლენებით დახუნძლული აღმოჩნდა ივნისის მეორე ნახევარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „დიდი შვიდეულისა“ და ნატოს სამიტები გახლდათ.

„დიდი შვიდეულის“ სამიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ბრიტანულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ, პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი შეხვედრაზე მოუწოდებდა კოლეგებს „მყრალი მშვიდობის სანაცვლოდ ნუ აიძულებენ უკრაინას რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებას“. ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

გერმანიაში, ბავარიის მხარის ალპების პატარა საკურორტო დაბა მასპინძლობდა G-7-ის სამიტს. ერთ-ერთი პირველი მიუნხენში ჯო ბაიდენის თვითმფრინავი დაეშვა. საპატიო სტუმარს მასპინძლები ბავარიულ კოსტიუმებში გამოწყობილები დახვდნენ. თავად ბაიდენი დასვენებული, უჩვეულოდ მხნედ გამოიყურებოდა. ტრადიციულად, სამიტის მასპინძელი, გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი პირველი ესაუბრა პირისპირ სტუმარს. „...ჩვენ ახლა ისეთი ძლიერები და ერთიანები ვართ, როგორც არასოდეს. შევძლებთ და ერთად დავძლევთ ეკონომიკურ კრიზისს“, — განაცხადა ბაიდენმა. შოლცმა დაუდასტურა: „..პუტინი არ მოელოდა ჩვენს ასეთ ერთიანობას“.

განსახილველი საკითხები, როგორც აღმოჩნდა, თურმე გერმანიის G-7-ზე ბევრი არ ყოფილა. ამიტომაც შეაფასეს პოლიტოლოგებმა სამიტი უარყოფითად, არასრულფასოვნად. მათი თქმით: „...G-7-ზე არ განუხილავთ მსოფლიოში დღეს არსებული გლობალური პრობლემები, არ უმსჯელიათ მათი მოგვარების გზებზე. სწორედ ამისთვის არის შექმნილი აღნიშნული ორგანიზაცია“. თუმცა იმსჯელეს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებზე. „G-7-მა აჩვენა რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი ერთიანობა. სანქციების დაწესებას გავაგრძელებთ კიდევ დიდხანს, ვიდრე საჭირო იქნება“, — განაცხადა შოლცმა. G-7-ის ქვეყნები უარს ამბობენ რუსეთისგან ოქროს შეძენაზე.

დაწესებული სანქციების მიუხედავად, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები მზად არიან, რუსეთისგან შეიძინონ ნავთობი, ოღონდ თავიანთი პირობებით. ბავარიის მხარეში შეთანხმდნენ, რომ რუსულ ნავთობზე თავად დააწესებენ ფასს და იმაზე მეტად არავინ შეიძენს. თუ რომელიმე ქვეყანა გაბედავს და ძვირად შეიძენს, სანქციებს დაუწესებენ. ქვეყნების მეთაურებმა უკვე მისცეს დავალება პროფილურ მინისტრებს, დაამუშავონ პროექტი. რუსულ ბუნებრივ გაზზე არაფერი უთქვამთ. არც რუსეთის აზრი აინტერესებთ.



თავიდანვე იყო ცნობილი G-7-ის სამიტზე უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტსაც განიხილავდნენ. გერმანიაში ჯონსონმა პირდაპირ უთხრა მაკრონს, რომ უკრაინაში კონფლიქტის დარეგულირების ნებისმიერი მცდელობა მსოფლიოში ვითარებას გაამწვავებსო. რატომ გამწვავდება ვითარება უკრაინაში მშვიდობით თუნდაც მექსიკაში ან აფრიკის რომელიმე ქვეყანაში, გაუგებარია. თავად მაკრონი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს: „...რუსეთს არ შეუძლია და არც უნდა გაიმარჯვოს. ომი უკრაინაში წლის ბოლომდე გაიწელება. ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ უკრაინას“. აშშ-ის პენსიონერი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უკრაინაში, როგორც ბუფერულ ზონაში, გამოიყენონ ბირთვული იარაღი! აშშ-ის პრესა თეთრი სახლის ანონიმ ჩინოვნიკებზე დაყრდნობით მტკიცებით ფორმაში აცხადებს, უკრაინა ველარ შეძლებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეიარაღების გაზრდის მიუხედავად.





გერმანიის ბიუჯეტს „დიდი შვიდეულის“ შეხვედრის მასპინძლობა 160 მილიონი ევრო დაუჯდა. პოლიტოლოგები გაოცებულნი არიან, გლობალურ პრობლემებზე მსჯელობის ნაცვლად განაყენებულ თემებზე რომ საუბრობდნენ ბორის ჯონსონი და კანადის პრემიერ-მინისტრი. ერთმანეთთან არკვევდნენ, ვის უფრო დიდი თვითფრინავი ჰყავს. სამიტის შეხვედრის დაწყებისას ჯონსონმა კოლეგებს წელს ზემოთ გახდა შესთავაზა — ვაჩვენოთ ჩვენი მკერდის კუნთები პუტინს და შევაშინოთო. რუსეთის პრეზიდენტმა მოგვიანებით თურქმენეთის დედაქალაას აშხაბადიდან უპასუხა: „.. არ ვიცი, წელს ზემოთ გაიხდიან თუ წელს ქვემოთ, მაინც საშინელი სანახავები იქნებიან“. სამიტი დასრულებამდე დატოვა ჯო ბაიდენმა. გარემოცვამ მიზეზად უამინდობა დაასახელა. მათი თქმით, აშშ-ის პრეზიდენტს თურმე ჭექა-ქუხილი აშინებს.

ალპებიდან პოლიტიკურმა მოვლენებმა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გადაინაცვლა, სადაც ნატოს სამიტი გაიმართა. ჯო ბაიდენს თავად ესპანეთის მეფე ფილიპე მეექვსე დახვდა მეუღლესთან ერთად. ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ალიანსი გააორმაგებს სწრაფი რეაგირების ძალებს. ნატოს მთავარ საფრთხედ რუსეთი დაასახელა.

მკვეთრ განცხადებებში სტოლტენბერგს არ ჩამორჩა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელიზაბეტ ტრასსი. მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს, რუსეთს არ აჩვენონ დაღლილობა უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით. მისი თქმით, უკრაინის დამარცხება ევროპას შეუქმნის პრობლემებს. „...ჯერ დავამარცხოთ რუსეთი უკრაინაში და მერე დავიწყოთ მოლაპარაკებები“, — განაცხადა ტრასსმა. ევროპელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ალიანსში უკრაინელების მიღება არ უნდათ, მაგრამ ყოველნაირად დაეხმარებიან.

საინტერესო შემთხვევა მოხდა მადრიდში სამიტის დაწყებისთანავე. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ქვეყნების მეთაურების ერთობლივ შეხვედრაზე ბაიდენს ჯონსონზე მიუთითა და მისი თანდასწრებით უთხრა: „ჩვენ ეს გვარცხვენს“. ვერავინ გაიგო, ერდოღანმა იხუმრა თუ სერიოზულად თქვა. თუმცა რეპლიკას გაგრძელება არ მოჰყვა.

მადრიდში სტუმრის სტატუსით იმყოფებოდნენ აზიის ქვეყნების: იაპონიის, სამხრეთ კორეის, ახალი ზელანდიის, ინდონეზიის, ავსტრალიის პირველი პირები. პოლიტოლოგების შეფასებით, ბაიდენს სურს, აზია-წყნარი ოკეანის აუზში შექმნას ანტიჩინური კოალიცია, გააფართოვოს AUKUS-ი (სადაც გაწევრიანებული არიან აშშ, ავსტრალია, ბრიტანეთი). ფაქტობრივად, დააარსონ ნატოს ანალოგი ორგანიზაცია, სადაც გაწევრიანდებიან იაპონია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, ახალი ზელანდია. იდეა ავსტრალიას ეკუთვნის. ექსპერტების შეფასებით, გაძნელდება რეგიონში ანტიჩინური კოალიციის შექმნა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ კორეა ისტორიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩინეთთან. ამის გარდა, ევროპის დიდი ქვეყნები, გერმანია და საფრანგეთი არ ჩქარობენ ანტიჩინური პოლიტიკის გატარებას. უყურადღებოდ ბაიდენს არც ევროპა დარჩა. მისი განცხადებით, გაზრდის შეიარაღებული ძალების რაოდენობას პოლონეთში, რუმინეთში, ბალტიის ქვეყნებში.



შემაჯამებელ კომუნიკეში, როგორც მოსალოდნელი იყო, ალიანსის მთავარ საფრთხეებად რუსეთი და ჩინეთი დაასახელეს. რუსეთის პრესის წარმომადგენლებს გაუუქმეს ნატოში აკრედიტაციები. ჩინელები ურჩევენ ალიანსის წევრებს, ნუ გააჩაღებენ ახალ ცივ ომს მსოფლიოში. უცნაურია, მაგრამ ჩინელების პროტესტს ჩრდილოეთ კორეაც შეუერთდა. ორივე ქვეყნის განცხადებით, გაუგებარია, რაში სჭირდება ნატოს აზია-წყნარი ოკეანის დესტაბილიზაცია.

ნატოს სამიტის შემდეგ ჯერ უკრაინაში და შემდეგ რუსეთში ჩავიდა ინდონეზიის პრეზიდენტი ჯოკო ვიდოდო. G-7-ის სამიტზე და მადრიდში სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა. წლეულს „დიდი ოცეულის“ სამიტს სწორედ ინდონეზია უმასპინძლებს კუნძულ ბალიზე. ესპანეთში და გერმანიაში ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ ვიდოდო, G-20-ზე არ მიეწვია რუსეთი, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან რუსეთს ოფიციალურად უკვე გაუგზავნეს მოსაწვევი. კიევში ვიდოდო პრეზიდენტ ვოლოდიმერ ზელენსკის შეხვდა და ოფიციალურად მიიწვია G-20-ზე სტუმრის სტატუსით. მოსკოვში ჯოკო ვიდოდოს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უმასპინძლა. ცნობილი გახდა, რომ ვიდოდომ ფოსტალიონის როლი შეასრულა — პუტინს ზელენსკის პირადად გადასაცემი წერილი ჩაუტანა, მაგრამ უსტარის შინაარსი დღემდე უცნობია.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# დედამიწა – „კოსმოსური ციხე“




**Science Alert**- ში გამოქვეყნებულ მასალაში მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ სამყაროს, ჩვენს პლანეტას „კოსმოსურ ციხეს“ ადარებენ. ასტროფიზიკოსები თვლიან, რომ ასობით წლის შემდეგაც კი კაცობრიობა ვერ შეძლებს სხვა პლანეტებზე ცხოვრებას, რადგან ჯერ არ არის ნაპოვნი ადგილები, სადაც იქნებოდა ადამიანის სიცოცხლის შესაფერისი გარემო. მათი აზრით, სამყარომ ძალიან ბევრი ენერგია დახარჯა ჩვენი პლანეტის შესაქმნელად. ტექნოლოგიის განვითარების მიუხედავად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ადამიანებმა შეძლონ მოგზაურობა ნულოვანი გრავიტაციით და გადავიდნენ სხვა პლანეტაზე. მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები სამყაროს ახალი შესაძლებლობების შესასწავლად. კვლევის დროს დადგინდა, რომ,



სინამდვილეში, პლანეტა დედამიწა მხოლოდ ერთგვარი "კოსმოსური ციხეა" და, შესაბამისად, მასზე მყოფი ყველა ადამიანი მისი პატიმარია. კაცობრიობა დატყვევებულია მანამ, სანამ მეცნიერები არ იპოვიან გზას პლანეტის დატოვებისა და სხვა სამყაროში გასავლელად. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ძიების ახალი კვლევები და ალგორითმები ადასტურებენ სამყაროში ცოცხალი ობიექტების არსებობის შესაძლებლობას, ამის დამადასტურებელი სანდო მონაცემები არ არსებობს. მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ სამყაროს, ადარებენ დედამიწას ეგრეთ წოდებულ "კოსმოსურ ციხეს", რადგან, სინამდვილეში, ადამიანები, ფაქტობრივად, ჩაკეტილები არიან დედამიწაზე და ვერ ტოვებენ მას. ეს ყველაფერი დაიწყო ოთხნახევარი მილიარდი წლის წინ, როდესაც სამყაროს სჭირდებოდა ენერგიის ტიტანური ხარჯვა სიცოცხლისათვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად - მილიონნობით კოსმოსური ნაწილაკი გაერთიანდა და აქედან დაიწყო დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა. ჩვენი სამყაროს სტრუქტურის შესახებ, არსებობს ერთი მეტაფორული ჰიპოთეზა, რომელიც მხოლოდ ფანტასტიკურ ვერსიად უნდა ჩაითვალოს. ეს ასე ჟღერს: დედამიწა არის ციხის პლანეტა, ერთგვარი განწმენდის ადგილი. სულმა, რომელმაც "სადღაც იქ" დაარღვია ჰარმონიის კანონები სასჯელს იხდის დედამიწაზე. ეს არსი ჩადებულია სხეულებში და ექვემდებარება მატერიალური სამყაროს ყველა შეზღუდვას - რაც, ფაქტობრივად, არის გამოსასწორებელი ადგილი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დედამიწაზე ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან: ზოგი უფრო გონიერია - ზოგი, ცხოველური ინსტინქტებით ხელმძღვანელობს. ზოგს აინტერესებს ფული და ძალა, ზოგს სულიერება, ზოგს კი საერთოდ არაფერი აინტერესებს - ისინი შიშებით არიან სავსე და ცდილობენ, როგორმე გადარჩნენ. მოდით, გავავლოთ ანალოგია ჩვენს ჩვეულებრივ ციხეებთან და ვნახოთ, არსებობს თუ არა ეს ანალოგია. ვისაც უნდა, ის ნახავს, მოისმენს, გამოიტანს დასკვნებს, მაგრამ ყოველთვის იქნებიან ისეთებიც, რომლებიც ერთ წრეზე იტრიალებენ. როდესაც ადამიანი პირველად ხვდება ციხეში, მას ეშინია, დაბნეულია, არ იცის ადგილობრივი წესები. ის ყველაფერს ხედავს საფრთხედ, მას არსად აქვს დასამალი, არ იცის, ვინ არის მეგობარი და ვინ არის მტერი. მისი პირველი ამოცანაა გადარჩენა ნებისმიერ ფასად. ასეთი ადამიანები არსებობენ დედამიწაზე. შედარებით რომ ვთქვათ, ისინი ახლახან აღმოჩნდნენ მიწიერ „ციხეში“ და ამიტომ აქვთ ასეთი რეაქციები. მეორე ძირითადმა კატეგორიამ უკვე კარგად იციას ციხის წესები, არ აქვთ საწყისი შიში - მაგრამ მაინც შორს არიან თავისუფლებისგან. ამრიგად, მათი მთავარი ინტერესი არის ციხის პირობებში ყველაზე კომფორტული ცხოვრება: უკეთესი საკვები, მშრალი ბუნაგები, სულ მცირე ხელმისაწვდომი გასართობი. ჩვენ ასევე ვხედავთ ასეთ ადამიანებს დედამიწაზე, მათი მთავარი ინტერესი არის კომფორტი და მათთვის ამ კომფორტის საფუძველია ძალა, ფული და კავშირები. ამიტომ, ისინი ცხოვრობენ ამ ინტერესებით. მესამე დიდი ჯგუფი შედგება გამოცდილი ადამიანებისგან, რომლებიც თითქმის ემსახურებოდნენ დროს და თითქმის თავისუფლებაში არიან. მათ არ ეშინიათ ციხის, და მათ აღარ აინტერესებთ ციხის კომფორტი, თუმცა არ ერიდებიან მის გამოყენებას, მათი ცნობიერება უკვე, ფაქტობრივად, თავისუფალია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ ციხეში არიან, ისინი აქ აღარ არიან. ამიტომ, მათი ინტერესები არის შეზღუდვების, შიშებისა და საზღვრების მიღმა. ჩვენ ასევე ვხედავთ ასეთ ადამიანებს დედამიწაზე, როგორც ჩანს, ისინი აღარ არიან აქ, მათ არ აინტერესებთ მიწიერი "ბედნიერება", ისინი არ არიან მიდრეკილნი ჩაერთონ მიწიერ ჩხუბში და ხშირად არა სისუსტის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ დაინახონ ნებისმიერი მიწიერი დაშლის არსი და ეს არსი მათ საერთოდ არ აინტერესებთ. საუკუნეების განმავლობაში ადამიანები ცდილობდნენ აეშენებინათ ბედნიერი და სამართლიანი სახელმწიფო - მაგრამ ვერავინ შეძლო. ბედნიერი სახელმწიფოს პატარა კუნძულებიც კი არ აღმოცენებულა - თითქოს ზოგიერთმა ძალამ გაანადგურა მისი მშენებლობის ყველა მცდელობა და გაანადგურა ყველა ასეთი წამოწყება. იმ თვალსაზრისით, რომ დედამიწა არის ერთგვარი კოსმოსური ხომალდი და აქ ყველაფერი ბედნიერებისთვის კი არა, სირთულეებისთვისაა შექმნილი, რომელთა გადალახვაც ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივ ციხეში: არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გამოსწორდება პატიმარი, ციხის ადმინისტრაცია გაანადგურებს მას რაღაც მომენტში ისე, რომ სიკვდილი მისთვის სანატრელი გახდება. გამოდის, რომ დედამიწაზე სამართლიანობას არასწორად აღვიქვამთ მოკვდავნი. არავინ იცის, რა არის ჩადებული ჩვენი გამოსწორების სისტემაში და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება სრულიად უსამართლოდ მოგვეჩვენოს, თუ ჩვენ უბრალოდ ვივარაუდებთ, რომ ეს არის სასჯელაღსრულების დაწესებულება, მაშინ არსებული სამართალი, უბრალოდ, აღემატება ჩვენს შეზღუდულ იდეებს და ითვალისწინებს არა იმას, რომ ჩვენ თავს კარგად ვგრძნობთ მიწიერ სხეულებში, არამედ იმას, რა უნდა მოხდეს ჩვენს არსთან, მის ზრდასთან ერთად. მაგრამ ყველაფერი „მაგრამ“ არის ის, რომ სისტემა არის კონფიგურირებული ისეთი დაბრკოლებების შესაქმნელად, რომლებიც ერთეულმა არა მხოლოდ უნდა გადალახოს, არამედ შეგნებულად გადალახოს, თანდათან გაიგოს, რომ მხოლოდ ჰარმონია და სილამაზეა აუცილებელი ნამდვილი გასაღებების გასაღები და ვინც არ აცნობიერებს ამას. ისინი ისევ და ისევ მოთავსებულნი არიან სხვადასხვა რთულ ტრენაჟორებში ცხოვრებისეული სირთულეების და გამოცდილების სახით, სანამ არ მიხვდებიან, რა გადაწყვეტილებას არ მოჰყვება მათი გეგმებისა და საკუთარი თავის კიდევ ერთი განადგურება. ჩვენს "ციხეში" მხოლოდ შიდა ზრდაა შესაძლებელი და არა სოციალური. ეს ნიშნავს, რომ ყველას შეუძლია მიაღწიოს საჭირო დონეს, რაც აახლოვებს მათ თავისუფლების გათავისუფლებასთან.

ჩვენს მატერიალურ სამყაროში მუდმივად ვხვდებით უსამართლობის აშკარა მაგალითებს. ნიჭიერი, შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს და იღუპება სიღარიბეში, გაუნათლებელი ამპარტავნები, თავზეხელაღებულები სარგებლობენ ფუფუნებით, ზოგს ყოველთვის თან ახლავს ფული და იღბალი, ზოგი კი, რაც არ უნდა იბრძოლონ, ვერ შეიცვლიან სტატუსს, არც მატერიალური სიმდიდრე ექნებათ..

როგორც ხედავთ, ასობით წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. რატომ? იმიტომ რომ, ის არ უნდა შეიცვალოს. ცხადია, ეს არის წესები და ძირითადი კანონი, რომელსაც ემყარება ადამიანური საზოგადოების პლანეტა დედამიწაზე ისტორიულად პროგნოზირებადი პერიოდის განმავლობაში. ამ კანონს ასევე უწოდებენ **FATUM an FATE**. არცერთ ინდივიდს არ შეუძლია შეცვალოს ეს კანონი, უფრო მეტიც, აზრები, სურვილები და კიდევ უფრო კონკრეტული ძალისხმევა, ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ჩარჩოს მიღმა გასვლას, სასტიკად ისჯება. ამ გარემოების გაცნობიერება ავსებს ადამიანს ისეთი გარდაუვალი ლტოლვითა და მწუხარებით, უიმედობის განცდა ხანდახან იმდენად გამჭოლია, რომ ადამიანს უნდა ყვირილი: „შემოქმედო, რისთვის?!“

არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ადამიანებმა უნდა იცხოვრონ კანონით, ასე მკაცრად და, როგორც ბევრს ეჩვენება, უსამართლოდ.

პლანეტა დედამიწა სხვა არაფერია თუ არა გამასწორებელი შრომის ინსტიტუტი დამნაშავე "ცოდვილი" სულებისთვის. მოდით, შევეცადოთ შევადგინოთ მსჯელობის სერია ამ თეზისის მხარდასაჭერად. საუკეთესო ციხეა ის, სადაც ადამიანს არც კი ეპარება ეჭვი, რომ ის ციხეშია. მაშინ ის არა მარტო ვერ გაიქცევა, არამედ ვერც კი წარმოიდგენს, რომ აქედან უნდა გაიქცეს. და რა არის ჩვენს პირობებში ისეთი მჭიდრო და ძლიერი შეზღუდვები, რომ ჩვენ არც კი გვგონია, რომ ეს შეიძლება იყოს ციხის კედელი? ეს არის ორი რამ: დრო და სივრცე. დრო და სივრცე დედამიწისათვის იმდენად ბუნებრივია, რომ მხოლოდ რამდენიმე აღიქვამს მათ როგორც, რეალურ შეზღუდვას. უმეტესობისთვის, იდეა სრულიად აბსურდულად ჟღერს. მაგრამ ეს ასევე აკმაყოფილებს ხარისხის ციხის საწყის პირობებს: პატიმარს არც კი აქვს ეჭვი, რომ ის უსაფრთხოდ არის ჩაკეტილი - დროსა და სივრცეში და ორგანო, რომელიც ასახავს ყველა ამ შეზღუდვას, არის თითოეული ადამიანის გონება, დაპროგრამებული გარკვეული პროგრამით და აღქმის სიხშირით, შიშებით, მოსაზრებებითა და ინტერპრეტაციებით.

საოცარია, როგორ არის ყველაფერი მარტივი და ყველაფერი ერთ ადამიანში. ჩვენ ვიბადებით უზარმაზარი განსხვავებით განვითარების, აღქმის, დამოკიდებულების დონეზე. უფრო მეტიც, ეს არ შეიძლება აიხსნას გენეტიკით - ყოველივე ამის შემდეგ, ზოგჯერ იმავე ოჯახში და ერთი მშობლებისგან იბადებიან სრულიად განსხვავებული დონის ბავშვები - ტყუპებიც კი. უფრო მეტიც, ინდოეთში არსებობს ანდაზა: "10 წლის ბრაჰმანა არის 100 წლის ხშატრიას მამა". ეს ნიშნავს, რომ ბრაჰმანების (ბრძენთა) კასტაში დაბადებული პატარა ბიჭი გაცილებით უფროსია, ვიდრე მოხუცი კშატრიების კასტიდან (მეომრები). როგორ? პასუხი ძალიან მარტივია - თუ ჩვენ მივიღებთ რეინკარნაციის იდეას, როგორც შესაძლებლობას, როგორც ფაქტს, რომ ჩვენი არსი ცხოვრებიდან სიცოცხლეში აგროვებს ერთგვარ მეტაფიზიკურ გამოცდილებას - რომელიც არ შლის, რაც გროვდება და გავლენას ახდენს ჩვენს ყოველ მომდევნო ცხოვრებაზე. ამით შეიძლება აიხსნას განსხვავება ადამიანთა დონეებში. ეს არის ის, რომ შინაგანი და ძალიან ღრმა დონე ყველასთვის განსხვავებულია. და სწორედ ეს შინაგანი დონე ქმნის ადამიანებს შორის იმდენად დიდ განსხვავებას, რომ ხშირად ერთს საერთოდ არ შეუძლია გაიგოს, რაზე ლაპარაკობს მეორე. ეს გამოცდილება და მის მიმართ დამოკიდებულება შეიძლება აღმოჩნდეს კოსმოსური პატიმრის პირობითი „თავისუფლების აღკვეთა“. სწორედ ეს ფაქტორები ზომავს ადამიანის ნამდვილ არსს. მაგრამ წარსული ცხოვრების გამოცდილებას ორი საინტერესო თვისება აქვს - ის წაშლილია დაბადებიდან შეგნებული წვდომისგან და მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ხელმისაწვდომი ცნობიერებისათვის, მაინც აისახება ჩვენს შინაგან არჩევანზე, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ არ ვართ ძალიან ინფორმირებული, რის საფუძველზეც ჩვენ ვიზიდავთ რაღაცას, მაგრამ ვიძაბებით რაღაცისგან, ეს მაინც გამოწვეულია ძალიან ძლიერი შინაგანი არაცნობიერი დამოკიდებულებებით, გარემოებებითა და დამთხვევებით. მხოლოდ ამ წარსულის გამოცდილებას შეუძლია მრავალი არათანმიმდევრული ახსნა იმ ადამიანის არასტანდარტულ ქცევაში, რომელიც მოულოდნელად იღებს სრულიად განსხვავებულ არჩევანს, რაც მას უკარნახა გარემომ და აღზრდამ. უფრო მეტიც, თვით ადამიანსაც კი შეიძლება გულწრფელად გაუკვირდეს ეს უცნაური შინაგანი ძალა, რომელმაც მოულოდნელად აიძულა მოულოდნელი არჩევანი და ცხოვრების შემობრუნება.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

(გაგრძელება იქნება)

# დენიზა სუმბაძე – „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“

მოთხოვნილებისამებრ მეორე გამოცემით იბეჭდება ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქალბატონ **დენიზა სუმბაძის** წიგნი: **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ.“** წიგნი იბეჭდება გიორგი მთაწმინდელის დაბადების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით მის მშობლიურ სოფელში, ტაძრისში, 10 ივლისისათვის. აღნიშნული წიგნის პირველი გამოცემის პრეზენტაცია შესდგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2012 წელს. როგორც კვლევით-მეცნიერული ნაშრომი, წიგნი წარმოადგენს ქართველი ერის სულიერი ვინაობისა და დანიშნულების განმარტებას, როგორც კაცობრიობის „ახალი საღმრთო ერისას“. განმარტება აღმოჩენილი და ამოწეულია ავტორის მიერ უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის სავედრებელი ლოცვიდან პავლე მოციქულისადმი: ვიხმობთ ციტატას აკადემიკოს **როინ მეტრეველისა** და პროფესორ **გიორგი ალიბეგაშვილის** რეცენზიიდან: „ქ-ნ დენიზა სუმბაძის განმარტებით ცნება „ახლისა“ უსათუოდ გულისხმობს „ძველის“ არსებობას, ანუ რაღაც მიმართებას წარსულთან, რომელმაც დაასრულა თავისი ისტორიული მისია და რომელთან მიმართებაშიც -ანუ რომლის პერსპექტიულ დინამიკაშიც ქართველი ერი უნდა მოგვევლინოს ახალ ერად, ახალი სიტყვის, ახალი საკაცობრიო იდეის მატარებლად. ახალი სიტყვა, რომელსაც ახალი ერი გამოჰყავს საკაცობრიო ასპარეზზე, მხოლოდ უფლის ახალი სიტყვა შეიძლება იყოს“. (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 7/02, 2014 წელი, მთავარი რედაქტორი და გამომცემელი: თამაზ წივწივაძე). - „საქართველოს მტრებს, მე ვესაუბრები ქალბატონ დენიზა სუმბაძის კვარცხლბეკიდან. ეს კვარცხლბეკი გახლავთ გიორგი მთაწმინდელის „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“... ბრძანებს წიგნის ერთერთი ოპონენტი, ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, ბ-ნი **სერგი საჯაია**. ქ-ნ დენიზა სუმბაძის წიგნი: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ მისი პირველი შემფასებლის, ფილოსოფოსისა და პროფესორის ბატონი **რევაზ ბალანჩივაძის** მიერ წოდებულ იქნა „ახალ საგალობლად“ ქართველი ერისადმი. ეს წიგნი იქცევა ყველა ქართული ოჯახის სიამაყედ და საუნჯედ!




წიგნის შეძენის მსურველებს, ამ ერთი კვირის განმავლობაში შეუძლიათ, ავტორის საბანკო ანგარიშზე წიგნის ღირებულების (25 ლარის) წინასწარი ჩარიცხვით მიიღონ ამა-წლის 10 ივლისის შემდეგ. წიგნის შეძენის მსურველთა მიერ თანხის წინასწარი ჩარიცხვით ავტორს საშუალება ეძლევა ტირაჟის გათვალისწინებისა და საგამომცემლო ხარჯების აუცილებელი წინასწარი ანაზღაურებისა, რისთვისაც ავტორი წინასწარ უხდის მადლობას წიგნის შეძენის ყველა მსურველს და ლოცავს მათ ოჯახებს.

მსურველებს, რომლებიც შეიძენენ წიგნს საბანკო ანგარიშზე წინასწარი გადარიცხვის წესით, უნდა შეინახონ და იქონიონ გადახდის ქვითარი და ავტორის ფეისბუქ გვერდზე გადმოგზავნონ შეტყობინება წიგნის შეძენის შესახებ, აუცილებელი მითითებით შემძენის საკონტაქტო მისამართისა: ტელეფონის ნომერი ან იმეილი.

წიგნის შესაძენად წინასწარი გადახდის წესით, შეგიძლიათ თანხა (25 ლარი) ჩარიცხოთ საბანკო ანგარიშზე:

**თიბისი ბანკი,**
**მიმღები: დენიზა სუმბაძე**
**ანგარიშსწორების ანგარიში –**
**GE54TB7373145061100074**

**გიმეორებთ**: შეინახეთ და თან იქონიეთ თანხის ჩარიცხვის ქვითარი და ჩვენი, (ანუ ავტორის) ფეისბუკის მესინჯერზე გადმოგზავნეთ შეტყობინება თანხის ჩარიცხვის შესახებ და თქვენი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

**წიგნის გავრცელების კოლეგია:**
**ტ.: 599 43 12 17**



# საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69



**— ჩემი შვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს, უფრო ზუსტად უცხო ქვეყნის მოქალაქეა. სურს, მიიღოს ბინადრობის ნებართვა საქართველოში. რომელი კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ?**

— იხელმძღვანელეთ კანონით „ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

* * *

**— მაქვს თუ არა უფლება, მე, როგორც ბებიამ, მოვითხოვო სასამართლო გზით შვილიშვილის ნახვის საათები?**

— დიახ, გაქვთ. ასეთს ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა.

* * *

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ: რას ნიშნავს მოქალაქეობის არმქონე პირი?**

— კანონის „ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, მოქალაქეობის არმქონე პირი გახლავთ პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

* * *

**— რომელი ორგანოები გასცემენ საქართველოს ვიზას?**

— -კანონის „ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს ვიზას გასცემენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს ვიზა შეიძლება გაიცეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე.

ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება შემდეგი ნორმებიც:

$1^1$. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზას გასცემს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი წესით. ამისათვის უცხოელი შესაბამისი განაცხადით მიმართავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 45 დღისა.

$1^2$. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე გასცემს ელექტრონულ ვიზას, თუ შესაბამისი სავიზო განაცხადი წარდგენილ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებგვერდის – ე-VIЗA POღთAL-ის – მეშვეობით.

2. უცხოელს, რომლის მოქალაქეობის ქვეყანაშიც საქართველოს არ აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება, შეუძლია საქართველოს ვიზის მისაღებად მიმართოს ახლომდებარე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

$2^1$. იმ უცხოელზე, რომლის მოქალაქეობის ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არ აქვს, საქართველოს ვიზის გაცემა ან საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება შესაძლებელია მესამე სახელმწიფოს მიენდოს. საქართველოს ვიზის გაცემის ან საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელების პირობები განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებით.

3. უცხოელს, რომელიც მესამე სახელმწიფოში იმყოფება, საქართველოს ვიზის მისაღებად შეუძლია მიმართოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში მდებარე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, თუ მას ადგილსამყოფელი ქვეყნის მრავალჯერადი შესვლა-გასვლის მოქმედი ვიზა ან მოქმედი ბინადრობის ნებართვა აქვს. ამ კატეგორიის უცხოელზე საქართველოს ვიზის გაცემის შემთხვევაში ადგილსამყოფელი ქვეყნის ზემოაღნიშნული ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა 3 თვით უნდა აღემატებოდეს საქართველოს ვიზის მოქმედების ვადას.

$3^1$. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება კომერციულ შუამავალს მიანდოს. კომერციული შუამავლის მიერ საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელების პირობები განისაზღვრება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კომერციულ შუამავალს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს ვიზა შეიძლება გაიცეს საერთაშორისო სამართლებრივი ან ჰუმანიტარული საფუძვლებიდან ან საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ უცხოელი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ვიზის მიღებისათვის დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს. ასეთ შემთხვევაში მასზე გაიცემა ერთჯერადი ვიზა 30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით, ხოლო უცხოელის საქართველოში შემოსვლის შემდეგ – დროებითი ბინადრობის მოწმობა.

* * *

**— მამობის დადგენასთან დაკავშირებით, რა ღირს დნმ-ის ანალიზი?**

— საქართველოში დნმ-ის ანალიზი კეთდება როგორც ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ასევე, კერძო სამედიცინო კლინიკებში. ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დნმ-ტესტს აკეთებს ადგილზე, საქართველოში, ხოლო სხვადასხვა კერძო კლინიკები ბიოლოგიურ მასალას დნმ-ტესტის გასაკეთებლად აგზავნიან საზღვარგარეთ(რუსეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში). ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დნმ-ტესტის გაკეთება 1600 ლარი ღირს და კეთდება მაქსიმუმ 30 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო დაჩქარებული წესით, 5 სამუშაო დღეში და 3200 ლარი ღირს. რაც შეეხება კერძო კლინიკებს, აქ დნმ-ტესტის გაკეთება საშუალოდ 1900-2000 ლარი ღირს და კეთდება დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში.

დნმ-ტესტის გასაკეთებლად გაწეულ ხარჯებს, მოდავე მხარეები გაინაწილებენ შემდეგი წესის შესაბამისად-თანხას, თუ სხვა შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, გაიღებს მოსარჩელე, ვთქვათ დედა. დნმ-ტესტის დადებითი პასუხის შემთხვევაში და ამის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილებისას, დნმ-ტესტზე გაწეული ხარჯები გადახდება მოპასუხეს-ჩვენ მაგალითში გაღებულ ხარჯებს დაფარავს მამა.

# მაიმუნის ყვავილი – ახალი პანდემია?

2022 წლის მაისში მსოფლიოში გავრცელება დაიწყო მაიმუნის ყვავილმა, რომელიც მხოლოდ ენდემურ ქვეყნებში გვხვდება. გიამბობთ იმის შესახებ, როგორ გადადის, რა სიმპტომები აქვს და არსებობს თუ არა მისი საწინააღმდეგო ვაქცინა.

**სად აღმოაჩინეს მაიმუნის ყვავილის ვირუსი**. მაიმუნის ყვავილით ადამიანის დასნებოვნების პირველი შემთხვევა ამა წლის 7 მაისს დიდ ბრიტანეთში დადასტურდა. ინფიცირებული სულ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ნიგერიიდან, სადაც ამ ვირუსის გავრცელება ჩვეულებრივი ამბავია. სწორედ დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ქვეყნე-



ბია მისი გავრცელების კერა. მაიმუნის ყვავილი 1958 წელს არის იდენტიფიცირებული, პირველად ადამიანებში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვლინდა 1970 წელს.

2022 წლის 20 მაისისთვის დიდ ბრიტანეთში უკვე ამ დაავადების 20 შემთხვევა დაფიქსირდა, ამის შემდეგ ვირუსი აღმოჩნდა პორტუგალიაში, ესპანეთში, შვედეთში, იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში. ვირუსი ასევე დაუდგინდათ ამერიკაში, ავსტრალიასა და კანადაში, სადაც 13 ადამიანს უტარდება გამოკვლევები, რომლებიც, სავარაუდოდ, ინფიცირებულები არიან.

დიდ ბრიტანეთში გამოვლენილი ზოგიერთი შემთხვევა პირდაპირაა დაკავშირებული აფრიკაში მოგზაურობასთან, ე. ი. ვირუსი უკვე ქვეყნის გარეთ ვრცელდება,

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ გამოვლენილ შემთხვევებში დიდი წილი გეი-მამაკაცებსა და ბისექსუალებს შორისაა და უწყება მათ განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს. ვირუსი მჭიდრო კონტაქტით, ინფიცირებულის ტანსაცმელთან ან თეთრეულთან შეხებით გადადის. ადამიანებს შორის ინფექციის გავრცელების რისკი დაბალია.

**აფეთქება აფრიკაში**. 2018 წლის მაისში მაიმუნის ყვავილის აფეთქება მოხდა კამერუნში. არავინ გარდაცვლილა; 2017 წელს სექტემბერ-დეკემბრის თვეებში 61 შემთხვევა დადასტურდა. გარდაცვალების ფაქტები არ გახმაურებულა; 2016 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 3 შემთხვევა დადასტურდა, მათ შორის ერთი გარდაიცვალა.

მიმდინარე წლის 21 მაისისთვის ჯანმომ არაენდემურ ქვეყნებში მაიმუნის ყვავილის 92 შემთხვევა დაადასტურა. ორგანიზაციაში დამატებით განმარტეს, რომ დადასტურებული და სავარაუდო შემთხვევები ენდემურ რაიონებში მოგზაურობასთან დაკავშირებული არ არის, რაც უჩვეულო ამბავია. დღეისათვის გამოვლენილი შემთხვევები მაიმუნის ყვავილის დასავლეთაფრიკულ ვარიანტს მიეკუთვნება, რაც დიდ ბრიტანეთში, ისრაელსა და სინგაპურში 2018-2019 წლებში დაფიქსირებულს ჰგავს, — განაცხადეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

**რა გზით გადაეცემა ვირუსი**. ვირუსის ეგრეთწოდებულ რეზერვუარად მიიჩნევიან მაიმუნები და ზოგიერთი სახეობის მღრნელები (აფრიკული ციყვები, მინდვრის ძაღლები), რომლებისგანაც ვირუსი ადამიანზე გადადის. ექსპერტების თქმით, მაიმუნის ყვავილის აფეთქებები სხვა დროსაც აღინიშნებოდა ენდემურ ქვეყნებში, ამასთან, ყოველწლიურად დაავადება ევროპის ქვეყნებშის შეიმჩნეოდა.

ვირუსი ნატურალური ყვავილივით ვრცელდება — ადამიანებს შორის მჭიდრო კავშირის, ბიოლოგიურ სითხეებთან ან პირად ნივთებთან კონტაქტის შედეგად. დღეისათვის ჰაერ-წვეთოვანი გზით დაავადების გადაცემის შესაძლებლობა განხილვის ფაზაშია.

ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მაიმუნის ყვავილს, როგორც სხვა ინფექციურ დაავადებებს, საინკუბაციო პერიოდი აქვს.

ჰომოსექსუალებსა და ბისექსუალებს შორის დასნებოვნების მაღალი რიცხვი დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ტრავმატულები არიან და ხშირად უზიანდებათ ლორწოვანი გარსი.

**როგორ მიმდინარეობს დაავადება**. მაიმუნის ყვავილის საწყის სტადიაში შეინიშნება სიცხე, თავის, სახსრების ტკივილი, ტკივილი ზურგის არეში, ლიმფური ჯირკვლების გადიდება, შემცივნება და დაღლილობა. შესაძლოა გამონაყარიც, უფრო ხშირად სახეზე, მთლიან სხეულზე, სასქესო ორგანოების ჩათვლით. გამონაყარი სხვადასხვაგვარია და წააგავს როგორც ჩვეულებრივ ყვავილს, ასევე სიფილისსაც, — ამგვარად აღწერს სიმპტომებს დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტრო.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზასიის მონაცემების მიხედვით, საინკუბაციო პერიოდი 6-13 დღეა, მაგრამ შესაძლოა, 5-21 დღეც იყოს. დაავადების მიმდინარეობის ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს. პირველი დაახლოებით ხუთი დღე გრძელდება და ახასიათებს სიცხე, ძლიერი თავის ტკივილი, ლიმფური ჯირკვლების გადიდება, სახსრების ტკივილი, ტკივილები ზურგის არეში და დაღლილობა. ლიმფური ჯირკვლების ანომალურად გადიდება მაიმუნის ყვავილის დამახასიათებელი ნიშანია. სიცხის დაწყებიდან ერთი-სამი დღის განმავლობაში ჩნდება კანზე გამონაყარი.

გამონაყარი უფრო სახესა და კიდურებზე შეიმჩნევა, იწყება ლაქებით, შემდეგ მუწუკები ივსება გამჭვირვალე ხსნარით, რომელიც მოყვითალო-მომწვანო სითხით იცვლება და მთავრდება ფუფხით, რომელიც შრება და ცვივა.

ჯანმოს განცხადებით, მაიმუნის ყვავილის ინფექცია ორიდან ოთხ კვირამდე გრძელდება. მძიმე შემთხვევები უფრო ხშირად გვხვდება ბავშვებში და დამოკიდებულია ვირუსის ზემოქმედების ხარისხზე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გართულებების ხარისხზე. მაიმუნის ყვავილის ლეტალობის კოეფიციენტი ისტორიულად 0-დან 11%-მდე მერყობს და უფრო მაღალია მცირეწლოვან ბავშვებს შორის. ბოლო დროს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 3-6%-ა.

**არსებობს თუ არა მაიმუნის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა**. ყვავილის აცრა ადრე ადამიანებს იცავდა. დღეისათვის, ვაქცინაციის კამპანიის შეწყვეტის გამო, 40-50 წელზე უფრო ახალგაზრდა ადამიანები უფრო მგრძნობიარეები არიან მაიმუნის ყვავილის მიმართ.

„ტელეგრაფთან" საუბრისას კალიფორნიის შტატის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიის პროფესორის ან რიმუანის თქმით, რომელიც 2002 წელს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნატურალური ყვავილის აფეთქების საწინააღმდეგო ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას, ახლა ადამიანების უმეტესობას მსოფლიოში ყვავილის საწინააღმდეგო იმუნიტეტი არ გააჩნია. მისი შეფასებით, ახლა სამყარო ყვავილის ვირუსების მიმართ უფრო მგრძნობიარე ხდება და მოგზაურობის სიხშირესთან ერთად საფრთხეები იმატებს.






ნატურალური ყვავილის საწინააღმდეგო აცრა მაიმუნის ყვავილის წინააღმდეგაც შედეგიანია, რადგან ყვავილის ყველა ვირუსი კარგ ჯვარედინ იმუნიტეტს იძლევა. ეს ორი ვირუსი ერთმანეთს ჰგავს, ამიტომ ვაქცინის გამოყენების შედეგად ჩამოყალიბებული იმუნიტეტი მაიმუნის ყვავილის წინააღმდეგაც ეფექტიანია.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში მაიმუნის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს.

**აქვთ თუ არა იმუნიტეტი მაიმუნის ყვავილის მიმართ საბჭოთა კავშირში ნატურალური ყვავილის წინააღმდეგ აცრილებს**. 1979 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ გამოსცა დეკლარაცია, რომელშიც განაცხადა მსოფლიოში ნატურალური ყვავილის დამარცხების შესახებ. საბჭოთა კავშირში ვაქცინაცია დაახლოებით 1982 წლამდე გრძელდებოდა. ექსპერტების თქმით, სავარაუდოდ, ნატურალური ყვავილის საწინააღმდეგო აცრას შეუძლია უზრუნველყოს მაიმუნის ყვავილის წინააღმდეგ დაცვა.

შესაძლოა, რომ 1980 წლამდე აცრილები ნაწლობრივ არიან დაცულები მაიმუნის ყვავილისგან.

ნატურალური ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა სტერილურ იმუნიტეტს ქმნიდა, ესე იგი, ვაქცინირებული ახალი ვირუსების წყარო აღარ შეიძლებოდა გამხდარიყო და ვაქცინაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტოვებდა იმუნიტეტს.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ლაპარაკი კოლექტიურ იმუნიტეტზე, რადგან 40 წელზე ახალგაზრდა ადამიანების უმეტესობას (ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე) ნატურალური ყვავილის საწინააღმდეგო აცრა არ გაუკეთებიათ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი"
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99